დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს აითი აკადემია სტეპი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ქეთევან ბაცანკალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ლელა ფიცხელაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ჯგუფის წევრი

თეა მათითაიშვილი- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

მზია მახაჭაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ზურაბ ურიადმყოფელი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

მზია შევარდნაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**აითი აკადემია სტეპი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**405150465**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი, N34 - N34ბ
ფაქტობრივი მისამართი	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი, N34 - N34ბ
საფოსტო ინდექსი	0177
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://ge.itstep.org/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tsnst@itstep.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	+995 (32) 215-55-51

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 16 ივნისის MES 6 23 0000705121 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24 და 25 ივლისი, 2023

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი ალ. ყაზბეგის გამზირი N 34 - N 34ბ; ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 44.
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი ალ. ყაზბეგის გამზირი N 34 - N 34ბ; ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 44.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინრე წლის 24 და 25 ივლისს კეთილგანწყობილ და საქმიან გარემოში. სკოლის წარმომადგენლებმა გამოიჩინეს ექსპერტებთან თანამშრომლობის მაღალი მზაობა და ვიზიტის დროის ამოწურვამდე წარმოადგინეს დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს აითი აკადემია სტეპი, როგორც ზოგადსაგნამანთლებლო დაწესებულება, ახლა ფუძნდება. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციას არ აქვს ზოგადი განათლების მიმართულებით დაგროვილი გამოცდილება და/ან საუკეთესო პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, დაწესებულებას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს არაფორმალური განათლების სფეროში. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, წარმოვაჩინოთ შპს აითი აკადემია სტეპის ძლიერი მხარე მის არსებულ საქმიანობასა და ადმიანურ რესურსზე დაფუძნებით.

შპს აითი აკადემია სტეპი 2016 წლიდან ახორციელებს კომპიუტერული მეცნიერებებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით არაფორმალური განათლების საქმიანობას. ორგანიზაცია წარმოადგენს საერთაშორისო კომპანიის - IT Academy STEP პარტნიორს, რომლის კურსდამთავრებულები დასაქმებულნი არიან 1500-ზე მეტ კომპანიაში, მათ შორის, ისეთ გიგანტურ კორპორაციებში, როგორებიცაა: Microsoft, Facebook, Ebay, DELL, Amazon და ა.შ. დაწესებულებას ხელმძღვანელობს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში ბიზნესის მართვის, ახალგაზრდების განათლებისა და ფინანსური დაგეგმვის მიმართულებით. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, მმართველი საბჭოს წევრებთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად, მიიღო გადაწყვეტილება დაეფუძნებინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მთავარი პრიორიტეტი იქნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაღრმავებული და ინტეგრირებული სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სხვა დისციპლინასთან ერთად.
ავტორიზაციის ექსპერტთა გუნდი შეთანხმდა, რომ აღნიშნული მიდგომა საკამოდ ინოვაციურია დღეევანდელ საგანმანათლებლო ბაზარზე, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისათვის, ვისაც კარიერის გაგრძელება სურთ STEM საგნების, კომპიუტერული მეცნიერებების, სამედიცინო სფეროს და ჯანდაცვის მიმართულებით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒**მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 240	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულად შესაბამისი
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულად შესაბამისი

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***ხარვეზი***

N		*ხარვეზი არ დაფიქსირებულა*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
		ხარვეზი აღმოიფხვრა

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ **31.08. 2023 -მდე** პერიოდში, სკოლამ „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაამონტაჟოს ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები შენობის გარე პერიმეტრზე.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებიულ **20.08.2023-მდე** პერიოდში სკოლამ, კანონმდებლობის დაცვით შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სკოლის ექიმი.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულ **20.08.2023-მდე** პერიოდში, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეუთანხმოს უფლებამოსილ სამსახურს.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულ პერიოდში **(2023 წლის 1 ოქტომბერი)** დაასრულოს: სამედიცინო კაბინეტის მოწყობა ,.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ მოთხოვნების შესაბამისად.
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადებში: 1. მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, ან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ **(ვადა 2024 წლის 31 აგვისტო)** 2. მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა მეორე მისამართზე : ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 44 (ს/კ. N 01.14.03.040.008.02.501) მდებარე 381.96 კვ.მ. ფართის მქონე შენობა ნაგებობა, ამონაწერით საჯარო რეესტრში დაფიქსირებული , როგორც -სარდაფი ,სართული 0,N2ბ, რომელშიც სკოლა გეგმავს ლაბორატორიებისა და სპორტული დარბაზის მოწყობას **(ვადა 2023 წლის 31 დეკემბერი).** 3. საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა შეათანხმოს შესაბამის უფლებამოსილ სამსახურთან **(ვადა 20.08.2023)**
ინდიკატორი 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულ **15.09.2023-მდე** პერიოდში მოახდინოს უსაფთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცება.
ინდიკატორი 3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულ **31.12.2023 პერიოდამდე** საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დაამუშაოს სასწავლო რესურსების კატალოგი.

ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ **10.09.2023 პერიოდამდე** სკოლამ ხელმისაწვდომი გახადოს შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის მეორე და მესამე სართულებზე გადაადგილება.
ინდიკატორი 3.6.2.2.	სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;	სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ **16.10.2023 პერიოდამდე** სკოლის მართვაში გამოიყენოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი ***1.1.1.5***	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	სასურველია, სკოლამ გაზარდოს დაინტერესებული პირებისთვის მისიის ხელმისაწვდომობა დამატებითი არხების გამოყენებით. მაგ: სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტები განთავსდეს სკოლაში თვალსაჩინო ადგილას.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	სასურველია საქმისწარმოების წესის მიხედვით წარმოდგენილ დანართებს თან ერთვოდეს ბრძანების თარიღები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ვიზიტის დროს, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დასკვნის პროექტის შემუშავების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე სრულად გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და მასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და მტკიცებულებები.

აღნიშნულის შედეგად, შესაძლებელ იქნა რიგი ინდიკატორების მეტწილ და სრულ შესაბამისობაში გადაყვანა;

გარდა ამისა, აღმოიფხვრა 2.2 (კურიკულუმის განხორციელება)კომპონენტის ხარვეზი, რომელიც დაფიქსირდა დასკვნის პროექტის შემუშავების დროს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა მოწყობილი ლაბორატორიის სივრცე. ასევე, შეძენილი იყო, თუმცა ადგილზე არ იყო წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ინვენტარი და აღჭურვილობა.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში დააფიქსირა, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებას დაიწყებს 2024 წლის იანვრიდან; წარმოადგინა როგორც ლაბორატორიული ინვენტარის, ისე ვირტუალური ლაბორატორიების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; აგრეთვე რეალისტურ ვადებში გაწერა ლაბორატორიის მოწყობისა და ინვენტარის იმპორტის პერიოდი. აქედან გამომდინარე, 2.2 (კურიკულუმის განხორციელება)კომპონენტი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „აითი აკადემია სტეპი“ საკუთარ საქმიანობას მოიაზრებს, როგორც საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ნაწილს და მიზნად ისახავს, შექმნას ყველა სახის პირობა, რათა სკოლის მოსწავლეები განვითარდნენ პიროვნულად და აკადემიურად, ჩამოყალიბდნენ სწორი ღირებულებების მატარებელ თავისუფალ ადამიანებად და გლობალურ მოქალაქეებად.
სკოლის მხრიდან შემუშავებულ მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველ დოკუმენტებში ჩანს მისი შემუშავების პროცესში არსებული ჩართულობა, მისი კავშირი ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ იდენტიფიცირება. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

2. სოციო-კულტურული სივრცე, რომლის შექმნაც სკოლას აქვს განზრახული, ხელს შეუწყობს მოზარდის პიროვნულ განვითარებას. სკოლის მისიაა - მოამზადოს მაღალინტელექტუალური, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი, ეროვნული, დემოკრატიული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნება, გამოკვეთილი უნარებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, რომელიც სწავლის გაგრძელების მიზნებისათვის კონკურენტუნარიანია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.
სკოლის ხედვაა - საგანმანათლებლო სივრცეში დაიკავოს ღირსეული ადგილი გაცხადებული სპეციფიკის შესაბამისად და წვლილი შეიტანოს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების დარგში, შესაბამისი დისციპლინების გაძლიერებული სწავლებით.
ხედვის შესაბამისად, მაქსიმალური შედეგების მისაღწევად, 2029 წლიდან სკოლა გეგმავს მიზნობრივი ინტერვენციების დაგეგმვასა და განხორციელებას ბავშვის განვითარების ადრეული ასაკიდან, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურიდან.
მისიის და ხედვის შესაბამისად, სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, შიდასასკოლო დოკუმენტაცია, მათ შორის, სასკოლო სასწავლო გეგმა და დაგეგმილი ღონისძიებები ემსახურება მოზარდის პიროვნულ განვითარებას. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

3. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშვების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა შეფასდა, ერთის მხრივ, წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის გზით, მეორე მხრივ კი საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში ინტერვიურების მეთოდით. სკოლამ წარმოადგინა შეხვედრის მიმდინარეობის შესახებ 12.01.2023 წლის აქტი, რომლითაც დასტურდება მისიის შემუშავების პროცესში მმართველი გუნდის (სკოლის მმართველი საბჭო და ორგანიზაციის სხვა თანამშრომლები) ჩართულობა. ამასთან, რადგან „აითი აკადემია სტეპი “არის ახალი სუბიექტი, მინიჭებული არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და არ ჰყავს მოსწავლეები, ცხადია, ორგანიზაციის მისიის, ხედვის და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში მოსწავლეების და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობა ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი. ორგანიზაციის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიურ ჩართულობას ორგანიზაციის მისიის, ხედვის და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

4. „აითი აკადემია სტეპი "არის ახალი სუბიექტი, მინიჭებული არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარება ვიზიტის პერიოდში ვერ დგინდება, თუმცა სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებისათვის სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მექანიზმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. ორგანიზაციის მისია, ხედვა და ღირებულებები დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომია საჯაროდ, ორგანიზაციის ვებგვერდის მეშვეობით. სასურველია, სკოლამ გაზარდოს დაინტერესებული პირებისთვის მისიის ხელმისაწვდომობა დამატებითი არხების გამოყენებით. მაგ: სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტები განთავსდეს სკოლებში თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. ორგანიზაციის სახელწოდება შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი. აკადემია ფუნქციონირებს 2016 წლიდან და ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას, ამასთან, უფლება აქვს, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი სხვა სახის საქმიანობა. სახელწოდება ასევე შესაბამისობაშია „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონთან, რომელიც ადგენს მოთხოვნებს იურიდიული პირების სახლწოდებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „აითი აკადემია სტეპის" სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- „აითი აკადემია სტეპის" სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ვებ გვერდი - https://stepschool3.wixsite.com/mysite
- შეხვედრის მიმდინარეობის შესახებ 12.01.2023 წლის აქტი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, ასევე, სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროცესის დაგეგმვას და წარმართვას სკოლის მმართველი საბჭოს წევრების და სკოლის სხვა თანამშრომლების ჩართულობით, მოსწავლეების და მშობლების მონაწილეობით. დოკუმენტის თანახმად : დოკუმენტის მიზანია, დანერგოს შპს „აითი აკადემია სტეპის“ სტრატეგიული დაგეგმვის, ასევე, სამოქმედო გეგმების შემუშავების და განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოსაყენებელი მიდგომები და პროცედურები. ორგანიზაციის შეფასების და პრიორიტეტების განსაზღვრა განხორციელდება დაინტერესებული პირების ჩართულობით, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს საერთო მიზნების მისაღწევად ორგანიზაციული კულტურის განვითარებას.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, ორგანიზაციის პრიორტეტების გათვალისწინებით, განისაზღვრება ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნები, მიზნის მიღწევის გზები და შესაბამისი ვადები, პასუხისმგებელი სტრუქტურები/პირები, შეიქმნება ანგარიშგების სისტემა, განხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი, ასევე, შეფასება, რასაც უნდა მოჰყვეს შეფასების შედეგებზე სათანადო რეაგირება. პროცესების სათანადოდ წარმართვამ უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის განვითარების პროცესის უწყვეტობა და პროდუქტიულობის გაზრდა.

იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციას ჯერ მოპოვებული არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და როგორც სკოლა არ ფუნქციონირებს, არ ირიცხებიან მოსწავლეები, ამასთან, ჯერ კიდევ მიმდინარეობს სკოლის პერსონალის ფორმირება, ფუნქციონირების დაწყებამდე, დაგეგმილია შემუშავებული გეგმების მათი ჩართულობით განხილვა და უკუკავშირის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელება. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

2. „აითი აკადემია სტეპის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა შვიდწლიანია და დაგეგმილია სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების (ფილოსოფიის) გათვალისწინებით. სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის შესაძლებლობების, ასევე, კონკურენტული გამოწვევებისა და ცვალებადი გარემოს პროგნოზირებად ანალიზს. სტრატეგიის ჩამოყალიბებით სკოლა მიზნად ისახავს, საკუთარი რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზით, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას და საგანმანათლებლო ბაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს სამ სტრატეგიულ მიზანს: სასწავლო პროცესის და სასკოლო სერვისების განვითარება; ინსტიტუციური განვითარება; სასკოლო კამპუსის განვითარება. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად განისაზღვრა შესაბამისი ამოცანები, რომელთა თანმიმდევრულად განხორციელებამაც უნდა უზრუნველყოს სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევა. მისიის შესაბამისად სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების გაძლიერებულ სწავლებას. პირველივე წლიდან სკოლა ორიენტირებულია განაგრძოს მუშაობა კურიკულუმის განვითარების მიმართულებით და მოიპოვოს გაძლიერებული სწავლების სტატუსი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ტექნოლოგიებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ორგანიზაციას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად, პირველ ეტაპზე დაეფუძნა მხოლოდ სტრატეგიული განვითარების გეგმას. ამასთან, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტით გათვალისწინებულია ყოველი მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება განხორციელდება სტრატეგიული განვითარების გეგმის, განვლილი პერიოდის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.„აითი აკადემია სტეპის“ სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბებულია ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით, რომელთა შესაბამისად განსაზღვრულია სტრატეგიული ამოცანები და შესაბამისი აქტივობები. გეგმაში გათვალისწინებულია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი თანამშრომლები/სტრუქტურული ერთეულები და აუცილებელი რესურსები, რომელთა მეშვეობით უნდა განხორციელდეს შესაბამისი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „აითი აკადემია სტეპის“ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- „აითი აკადემია სტეპის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- „აითი აკადემია სტეპის“ სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად უზრუნველყოფილი იქნება ყოველწლიური საოპერაციო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგი. ამასთან, დაგეგმილია სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ერთი მხრივ, უნდა შეფასდეს რამდენად ყველა აქტივობა სრულდება და ამოცანა მიიღწევა, მეორე მხრივ, საშუალო ვადის (სამი წელი) გასვლის შემდეგ ასევე ფასდება, მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად რამდენად სწორად არის განსაზღვრული ამოცანები და შესაბამისი აქტივობები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა გეგმავს მოახდინოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. „აითი აკადემია სტეპი "არის ახალი სუბიექტი, მინიჭებული არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. შესაბამისად, როგორც სტრატეგიის, ისე სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება ჯერ არ მომხდარა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. „აითი აკადემია სტეპი "არის ახალი სუბიექტი, მინიჭებული არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. სკოლა გეგმავს, საჯარო გახადოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები. ამ მიზნით, სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკა ითვალისწინებს შესაბამისი ანგარიშების განთავსებას სკოლის ვებ გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. „აითი აკადემია სტეპი "არის ახალი სუბიექტი, მინიჭებული არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მუშავდება სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის, გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების საფუძველზე, რაც მიმართული იქნება სკოლის განვითარებისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „აითი აკადემია სტეპის“ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- „აითი აკადემია სტეპის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- „აითი აკადემია სტეპის“ სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული; დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შპს აითი აკადემია სტეპის დებულება, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის სტატუსს, საქმიანობის მიზნებს, სტრუქტურისა და მართვის საკითხებს. დებულება აზუსტებს სკოლაში დასაქმებული პერსონალის თანამდებობრივ ინსტრუქციებს, სტრუქტურულ ერთეულებს და მათ ფუნქცია-მოვალეობებს. სკოლას შემუშავებული აქვს მენეჯმენტის ორგანიგრამა, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული სკოლის მართვის სტრუქტურა, ყველა თანამადებობისა და სტრუქტურული ერთეულის იერარქიული მიმართებებით. დაწესებულებას მართავს ორგანიზაციის დირექტორი. ზოგადსაგანმანათლებლო მიმართულებას კურირებს სკოლის მმართველი საბჭო (შემადგენლობა: 3 წევრი), რომელსაც ექვემდებარება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და აკადემიური დირექტორი. აკადმიური დირექტორი კურირებს კათედრებს, დამრიგებლებს, დამრიგებლების ასისტენტებს, ტუტორებს და საწავლო პროცესში

ჩართულ სხვა პირებს. ფუნქციებთან ერთად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დასაქმების გამჭვირვალობისა და შესაბამისი კადრების მოზიდვის მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. კერძოდ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სკოლის დებულებით, შრომის შინაგანაწესით, სტრუქტურული ერთეულების დებულებებით (კათედრების და მმართველი საბჭოს დებულებები, დისციპლინური კომიტეტის მუშაობის წესი) და პერესონალის მართვის პოლიტიკით უზრუნვლეყოფილია დაწესებულებაში დასაქმებულთა შორის ფუნქციების ისეთი გადანაწილება და ურთიერთმიმართება, რომ შექმნილია საგანმანათლებლო და დამხმარე პროცესების განხორციელების სრული წინაპირობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სკოლის დებულება;
- შრომის შინაგანაწესი;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- პერესონალის მართვის პოლიტიკა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; კერძოდ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის შინაგანაწესი და პეროსნალის მართვის პროლიტიკა, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. პერსონალის მართვის პროცესში სკოლა ითვალისწინებს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს; ხოლო ადამიანური რესურსების მართვას ახორციელებს თანასწორობის, არადისკრიმინაციულობის, გუნდურობისა და თანამშრომლობის პრინციპით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკაში გაწერილი სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას შეფერხების გარეშე. გარდა ამისა, მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევას, ახალი კადრების მოზიდვის პროცედურებს, რაც ხელს უწყობს დაწესებულებას დაგეგმოს და გაითვალისწინოს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელი პრევენციული და ინტერვენციული ზომები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია ისეთი პუნქტები, როგორებიცაა პერსონალის მოზიდვის მექანიზმები, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შერჩევის წესი, მასწავლებელთა სამუშაოზე მიღების წესი (რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესს“). დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მთხოვნები თითოეული თანამდებობისათვის. ახალი კადრის შერჩევის პროცესში, დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპის დაცვა.

   ვინაიდან დაწესებულება ჯერ არ არის მოქმედი სუბიექტი, პერსონალი კვლავაც ფორმირების ეტაპზეა. ვიზიტის დროს, სკოლა წინასახელშეკრულებო პროცესში იმყოფებოდა კარიერის დაგეგმვის კოორდინატორთან. ასევე, მიმდინარეობდა კანდიდატების შერჩევა შემდეგი ვაკანტური ადგილების დასაკავებლად: ტუტორი, კლუბების ხელმძღვანელი, მოსწავლეთა მხარდაჭერის მენეჯერი.

   კანონმდებლობასათან შესაბამისობის მიზნით, სკოლაში დასაქმებულებს წარმოდგენილი აქვთ კანონმდებლობითა და სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრული დოკუმენტაცია. მათ შორის, ცნობები ნასამართლეობის არ ქონის შესახებ და ცნობები, რომლითაც დასტურდება, რომ ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის ან/და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე პირს ჩამორთმეული არ აქვს საქმიანობის უფლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; კერძოდ, სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისა და მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობითა და სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნული დგინდება პეროსნალის პირადი საქმეებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე.

დაწესებულებაში დასაქმებულია 18 მასწავლებელი, მათგან 5 წამყვანი, 10 უფროსი და კიდევ 1 დოქტორის ხარისხის მფლობელი, რომელსაც სკოლის ამოქმედებისა და შესაბამისი მიწერილობის საფუძველზე მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი (სულ 11 უფროსი მასწავლებელი), 1 მოწვეული და 1 პედაგოგი სტატუსის გარეშე, რომელთანაც გაფორმებულია №174/ნ ბრძანებით გათვალისწინებული გარდამავალი დებულების შესაბამისი ხელშეკრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ახლა ფუძნდება როგორც ზოგადასაგნამანთლებლო დაწესებულება, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე შეხვედრების ამსახველ ოქმებსა და აქტებში იკითხება გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიული, გუნდური პრინციპები. დაწესებულების წარმომადგნელებთან გასაუბრებით დგინდება, რომ შპს აითი აკადემია სტეპისთვის ზოგადსაგნამანთლებლო მიმართულების დაფუძნება, მთავარი პრიორიტეტების გამოკვეთა და სამუშაო პრინციპებზე შეთანხმება ხანგრძლივი მოკვლევის, მსჯელობისა და ერთობლივი მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი. დაწესებულების დირექტორის, მმართველი საბჭოს წევრებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების მრავალწლიანი გამოცდილება განათლებისა და მენეჯმენტის მიმართულებით საფუძვლად დაედო მრავალმხრივ დაბალანსებული, მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული გუნდის შეკვრას, რომელსაც აერთიანებს საერთო ფასეულობები და ხედვა.

   პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის სხვადასხვა მუხლი ხაზს უსვამს გუნდურობისა და თანამშრომლობის მაღალ ხარისხს, ნდობას და პატივისცემას თანამშრომლებს შორის, მენეჯმენტსა და პერსონალს შორის, რისთვისაც დანერგილია უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით, წახალისებულია კომუნიკაცია და დისკუსია მენეჯმენტთან; დაწესებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამშრომელთა მაქსიმალური ჩართულობა და სკოლის შედეგებსა და წარმატებაზე პასუხისმგებლობის გაზიარება. კოლეგიური ორგანოების დებულებებში იკვეთება გუნდური მუშაობის მექანიზმები და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უმრავლესობის ჩართულობის აუცილებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. დაწესებულების პერსონალის მიერ, ამ დრომდე განხორციელებული სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა ეყრდნობა დასაქმებული კადრების საუკეთესო გამოცდილებას და პრაქტიკას. ამაზე მეტყველებს დაწესებულების დირექტორთან და მმართველ საბჭოსთან გასაუბრებაც, როდესაც ნათლად გამოჩნდა თუ საიდან ჩამოყალიბდა სკოლის მთავარი მიმართულება - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების შერწყმა და ინოვაციური საგანმანათლებლო მოდელის შეთავაზების იდეა. აღნიშნული მიგნებები ეყრდნობა მმართველი გუნდის წევრების ცოდნისა და ექსპერტიზის გაზიარებას, სადაც გათვალისწინებულ იქნა პედაგოგიური პერსონალის საგნობრივი გამოცდილება და მეთოდური ორიენტირები. ამგვარად, სკოლას აქვს აქვს წარმატებული გამოცდილების გაზიარების პოტენციალი, რაც დაწესებულების ავტორიზების შემდგომ კიდევ ამუშავდება, როგორც რეგულარული მექანიზმი.

   შრომის შინაგანაწესში გაწერილია სამსახურებრივ მოვალეობათა მაღალი ხარისხით შესრულებისათვის, დასაქმებულის კეთილსინდისიერების, ასევე, ინოვაციური წინადადებებისთვის, განსაკუთრებული სირთულის და/ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, დასაქმებულის წახალისების შემდეგი ღონისძიებები:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) ფულადი პრემიის გაცემა;
გ) ფასიანი საჩუქრის გადაცემა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სკოლის დებულება;
- შრომის შინაგანაწესი;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- პერესონალის მართვის პოლიტიკა;
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- თანამშრომელთა და მასწავლებლების პირადი საქმეები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკაში გაწერილია პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის მექანიზმები, რაც საშუალებას იძლევა, დადგინდეს თანამშრომლების საჭიროება და შემუშავდეს შესაბამისი რეაგირების გზები. გარდა ამისა, დაწესებულების ამოქმედებისთანავე შეიქმნება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც განახორციელებს პედაგოგთა პროფესიული განვითარების აქტივობებს, კანონმდებლობის შესაბამისად. მენეჯმენტსა და თანამშრომლებს შორის თავისუფალი მსჯელობის, დიკსუსიისა და უკუკავშრის პრინციპიც ხელს შეუწყობს საჭიროებების იდენტიფიცირებას და სამოქმედო გზების ერთობლივად შემუშავებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; სკოლას აქვს პერსონალის საჭიროებების დადგენის მექანიზმი. თუმცა სკოლა ჯერ არ არის მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და პერსონალის საჭროებების დადგენა უფრო აქტიურად განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყების შემდგომ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას უკვე აქვს რამდენიმე აქტივობა დაგეგმილი, რაც მასწავლებლების ციფრული წიგნიერების განვითარებას უკავშირდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა, სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვიათარების მეთოდოლოგია და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება ითვალისწინებს თანამშრომლებისა და მასწავლებლების კარიერული წინსვლის ხელშეწყობას, რისი განხორციელებაც შესაძლებელი იქნება სუბიექტის ავტორიზაციისა და სასწავლო პროცესის დაწყების შემდგომ. **ამ ეტაპზე, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკაში გაწერილია ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის წესი სამუშაო გარემოში, რომელიც მოიცავს ორგანიზაციული ორიენტაციის სისტემას, „მეგზურობის“ გაწევას, იურისტის მხრიდან მოქმედი შინაგანაწესისა და სხვა მარეგულირებელი წესების გაცნობას, ინფრასტრუქტურის დათვალიერებას, საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები - ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, **აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სკოლის დებულება;
- პერესონალის მართვის პოლიტიკა;
- სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად; კერძოდ, დაწესებულებაში პროცესების მართვა ეფუძნება დაგეგმვის, განხორციელებისა და, წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით, რევიზირების პრინციპს, რაც წარმოდგენილია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის

პოლიტიკასა და სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მეთოდოლოგიაში. აღნიშნული მეთოდოლოგია აერთიანებს სკოლაში დასაქმებული პირების, პროცედურების, შეფასების სფეროების, პერიოდულობის და ანგარიშგების მექანიზმს. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეფასებას ექვემდებარება:

- დამრიგებლის მუშაობის შეფასება;
- კათედრების მუშაობის შეფასება;
- მასწავლებლების პორტფოლიოს წარმოების შეფასება;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული თვალსაჩინოებები, რესურსები, დამხმარე მასალები;
- განმავითარებელი შეფასებები;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მომსახურების ხარისხი და მათი მიღწევები; ი
- ინდივიდულაური სასწავლო გეგმები.
- სასწავლო პროცესის ტექნიკური გამართულობა;
- მშობელთა ჩართულობა;
- სკოლის უსაფრთხოება;
- შემაჯამებელი სამუშაოების შეფასება და ანალიზი;
- პედაგოგების შეფასება;
- საგაკვეთილო პროცესის ხარისხი;
- მოსწავლეთა შედეგები.

დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების წევრების (სკოლის პერსონალი, მოსწავლე, მშობელი) სწორ ორიენტირებას სასკოლო გარემოში და სასწავლო პროცესის დაგემვის და წარმართვის პროცესში უზრუნველყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მოქმედი კანომდებლობის შესაბამისად შემუშავებული შიდა სასკოლო დოკუმენტების მიხედვით. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში, სკოლის შინაგანაწესში, საქმისწარმოების წესში, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასა და სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მეთოდოლოგიაში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა საჩივრის განხილვის წესი, რომელიც შემუშვებულია „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და

განსაზღვრავს შპს „აითი აკადემია სტეპის“ (შემდეგში - სკოლა) საჩივრის განხილვის პროცედურას. აღნიშნული წესი განსაზღვრავს, რომ მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ სკოლის პერსონალის არამართლზომიერი ქმედებები, ასევე, სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ მიაჩნიათ, რომ ილახება საქართველოს კანონმდებლობით ან/და სკოლის შიდა რეგულაციებით მათთვის გარანტირებული უფლებები. სკოლაში საჩივრის განხილვის უფლებამოსილება აქვს სკოლის მმართველი საბჭოს, რომელიც საქმიანობს საკუთარი დებულების შესაბამისად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ეხება სკოლის მმართველი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, საკითხს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ორგანიზაციის დირექტორი. ამასთან, საკითხის თავისებურების გათვალისწინებით, ორგანიზაციის დირექტორი უფლებამოსილია, შექმნას საჩივრის განმხილველი კომისია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, დაწესებულების მიერ შემუშავებულ შინაგანაწესში წარმოდგენილია პერსონალისა და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები. გარდა ამისა, შინაგანაწესი არეგულირებს სკოლის თანამშრომლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების წესს, დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის წესს, მასწავლებლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საქმისწარმოების წესს და სხვა კანონით გათვალისწინებულ პროცედურებს. დაწესებულებაში მოქმედებს საჩივრების განხილვის სისტემა. მოქმედებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სკოლაში საჩივრების განხილვის წესი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პერესონალის მართვის პოლიტიკა;
- სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.
- ხარისხის მართვის პოლიტიკა.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები; კერძოდ, დაწესებულებას ვებ გვერდზე გამოქვეყნებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები და ორგანიზაციის სტრუქტურა. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ძირითადი ორგანიზაციული მართვის პრონციპებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციების აღწერილობით უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმებს. ხარისხის მართვის დოკუმენტაცია კი ითვალისწინებს მოსწავლეებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან რეგულარულ დიალოგს, მათ გამოკითხვას და მიმდინარე პროცესებში ჩართულობას. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სტუქტურული ერთეულების დებულებებითა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართვის მექანიზმი, თუმცა ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, **<u>აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სკოლაში საჩივრების განხილვის წესი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პერესონალის მართვის პოლიტიკა;
- სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის მართვის პოლიტიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისათვის სკოლას ჰყავს დაცვის თანამშრომლები, სკოლის ეზო არის შემოღობილი და დაცული. შენობა სრულად არის აღჭურვილი უსაფრთხოების ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით, თუმცა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დამატებით საჭიროა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მონტაჟი შენობის გარე პერიმეტრზე . სკოლას უდასტურდება კამერების ფლობა, ხოლო მათი მონტაჟი გაწერილი აქვს შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში 31.08. 2023 -მდე პერიოდში.
სკოლის სტრუქტურა ითვალისწინებს უსაფრთხო სკოლის მენეჯერის პოზიციას. სამუშაო გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა თანამშრომლობს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს რისკების შეფასებას და ადგენს პრევენციულ ღონისძიებებს. სკოლას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. შემუშავებულია სამედიცინო დახმარების მექანიზმიც, რომელიც განსაზღვრავს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის

წესსა და პროცედურებს. მისი მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის ჯანმრთელობა.
სკოლას შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გაწერილი აქვს, რომ სკოლის ექიმის აყვანის მიზნით გამოცხადებულია კონკურსი, ამასთან, კანონმდებლობით დადგემილი წესით ექიმის საკონკურსი კომისიის ფორმირების მიზნით, ოფიციალური კორესპონდენცია გაგზავნილია ვაკე-საბურთალოს საგანმანათლებლო რესურსცენტში კომისიის წევრის განსაზღვრის მიზნით. სკოლის განმარტებით კონკურსი მიმდინარეობს კანონმდებლობით დაგენილი პირობების დაცვით და ვადის (20.08.2023), დარღვევის რისკი არ არსებობს.
ვიზიტის პერიოდში სკოლას პირველ სართულზე გამოყოფილი ჰქონდა სივრცე სამედიცინო კაბინეტის მოწყობის მიზნით, თუმცა სამედიცინო კაბინეტი არც აღჭურვილი და არც მოწყობილი არ იყო. სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრა პერიოდი (2023 წლის 1 ოქტომბერი) , როცა დაასრულებს სამედიცინო კაბინეტის მოწყობას ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ მოთხოვნების შესაბამისად. ვადები რეალისტურია, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები იძლევა საფუძველს რომ ვადების დარღვევის რისკი არ არსებობს.
ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და სხვა შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). სკოლამ წარმოადგინა 2020 წლის 01 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება შპს,, ომეგა მ.ბ.რ.“ -სთან ობიექტის სახანძრო და დაცვითი სიგნალიზაციის ცენტრალური სამეთვალყურეო პულტით მომსახურების შესახებ. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების წესების დოკუმენტი, თუმცა სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ . სკოლამ დასკვნის პროექტის პასუხად შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრა ვადები, რა პერიოდშიც მოიპოვებს დასკვნას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, ან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ. ვადა 2024 წლის 31 აგვისტო რეალისტურია, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები იძლევა საფუძველს, რომ ვადის დარღვევის რისკი არ არსებობს.
სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა შემუშავებული და შეთანხმებული შესაბამის უფლებამოსილ სამსახურთან. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შპს "აითი აკადემია სტეპმა" დაუკვეთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის გაგზავნილი კორესპოდენცია. სკოლამ შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში გაწერა აღნიშნული და განმარტა, რომ გეგმას მოამზადებს შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო სამსახური და ვადის (20.08.2023), დარღვევის რისკი არ არსებობს.
სკოლამ წარმოადგინა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომლის მიხედვითაც დასტურდება ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 34 - N 34 (ბ) (ს/კ. N 01.14.03.040.270) მდებარე შენობა ნაგებობის მდგრადობა. სკოლას ამავდროულად შეძენილი აქვს და სასწავლო მიზნით აპირებს გამოიყენოს (განათავსოს ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი) ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 44 (ს/კ. N 01.14.03.040.008.02.501) მდებარე 381.96 კვ.მ. ფართის მქონე შენობა ნაგებობა, ამონაწერით საჯარო რეესტრში დაფიქსირებული , როგორც - სარდაფი, სართული 0,N2ბ. სკოლამ ამ უკანასკნელზე ვიზიტის პერიოდში **ვერ წარმოადგინა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.** დასკვნის პროექტის პასუხად შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრა ვადები (ვადა 2023 წლის 31 დეკემბერი), რა პერიოდშიც მოიპოვებს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას მეორე მისამართზე : ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 44 (ს/კ. N 01.14.03.040.008.02.501) მდებარე 381.96 კვ.მ. ფართის

მქონე შენობა ნაგებობა, ამონაწერით საჯარო რეესტრში დაფიქსირებული , როგორც -სარდაფი ,სართული 0,N2ბ, რომელშიც სკოლა გეგმავს ლაბორატორიებისა და სპორტული დარბაზის მოწყობას . ვადები რეალისტურია, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები იძლევა საფუძველს რომ ვადების დარღვევის რისკი არ არსებობს. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.**

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ №06/ნ ბრძანების შესაბამისად შემუშავებულია სპეციალური წესის პროექტი. პროექტი მოიცავს ინფორმაციას უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების, ასევე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ვიზიტის პერიოდში წესი არ იყო დამტკიცებული, რადგან სკოლა აწარმოებდა მიმოწერას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რათა მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით მოეხდინა რეგულაციის საბოლოო სახით ჩამოყალიბება და დამტკიცება (14.07.2023 , №03-07 წერილი ვაკე საბურთალოს რაიონის საგანმანათლებო რესურსცენტრის უფროსთან). სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით 15.09.2023-მდე პერიოდზე გაწერა უსაფთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცება. ინდიკატორი **მეტწილ შესაბამისობაშია.**

3. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, სკოლის სტრუქტურა ითვალისწინებს ფსიქოლოგის პოზიციას. შემუშავებული შიდასასკოლო რეგულაციები ორიენტირებულია პოზიტიური სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბებაზე. ამასთან, სკოლას მიაჩნია, რომ ცალკეული რეგულაციების შემუშავებით მიზანი ვერ მიიღწევა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება უზრუნველყოფილი უნდა იყოს მართვის სტილით, რომელის დამკვიდრებასაც სკოლა გეგმავს. სკოლაში ასევე შემუშავებულია სპეციალური ინსტრუმენტები - კითხვარები, რომელთა მეშვეობით სკოლა აპირებს, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების მხრიდან ანონიმურად მოხდეს პერიოდული უკუგების მიღება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, სკოლა ხელმძღვანელობს „სკოლამდელი და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N308/ნ ბრძანების შესაბამისად. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად დირექცია სკოლას ამარაგებს სანიტარული და ჰიგიენური საშუალებებით. დასაქმებულია დამლაგებლები, რომელებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სასწავლო ინვენტარის (მაგიდები, თაროები, კომპიუტერები და სხვა) გაწმენდას საწმენდი საშუალებებით. კარადების, სათავსოების, უჯრების მოწესრიგებას და ყოველდღიურად სველი წესით დამუშავებას. განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული სანიტარული კვანძების (ტუალეტი, ნიჟარები, უნიტაზები) სისუფთავეზე. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი ასევე შედის სკოლის ექიმის მოვალეობაში. ექიმმა კომპეტენციის ფარგლებში უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები ჰიგიენური და სანიტარული ნომრების დაცვის კუთხით. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ნარჩენების კალათი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. „აითი აკადემია სტეპს“ შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა, რომელიც ეხება სკოლასთან ურთიერთობაში მყოფ ყველა პირს (პერსონალი, მოსწავლე, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი) და შესაბამისობაშია ,,პერსონალური

მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედ სპეციალური კანონმდებლობასთან. სკოლა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჩარჩოებში პერსონალური მონაცემების დამუშავებას განიხილავს, როგორც მხარეთა შორის კეთილსინდისიერი და სანდო თანამშრომლობის საფუძველს. იდენტიფიცირებულია და აღწერილია პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევები და წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვის მექანიზმები, რომელიც ვრცელდება შემდეგ სფეროებზე: დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების/სისტემების ინფრასტრუქტურა; დაწესებულებაში არსებული ძირითადი მონაცემები და ინფორმაცია; პირები, რომლებიც იყენებენ ინფორმაციულ სისტემებს ან ახორციელებენ მის ადმინისტრირებას; პირები, რომლებიც ახორციელებენ ძირითადი მონაცემებისა და ინფორმაციის მართვას. განსაზღვრულია ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები და მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა ახალი სუბიექტია, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში გამოთქვამს მზადყოფნას განახორციელოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგები გამოიყენოს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (პროექტი);
- სკოლის სამედიცინო კაბინეტის დებულება;
- სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი.
- ექიმის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაგზავნილი კორესპონდენცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას საკუთრების უფლებით ფლობს ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 34 - N 34 (ბ) (ს/კ. N 01.14.03.040.270) მდებარე სამსართულიან შენობა-ნაგებობას, რომელიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო ინვენტარით და საშუალებით. სივრცეები გათვალისწინებულია როგორც საკლასო ოთახებისათვის, ისე ინდივიდუალური სამუშაო და საერთო გამოყენებისათვის. საკლასო ოთახებში (სულ 16 საკლასო ოთახი) განთავსებულია არასტანდარტული ორ, სამ და ოთხ ადგილიანი მაგიდები, რომლებზეც განთავსებულია ინდივიდუალურად ყველა მოსწავლისთვის სამუშაო კომპიუტერი და სხვა ციფრული ტექნიკა.

სკოლას ამავდროულად შეძენილი აქვს და სასწავლო მიზნით აპირებს გამოიყენოს (განათავსოს ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი) ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 44 (ს/კ. N 01.14.03.040.008.02.501) მდებარე 381.96 კვ.მ. ფართის მქონე შენობა ნაგებობა, ამონაწერით საჯარო რეესტრში დაფიქსირებული , როგორც -სარდაფი ,სართული 0,N2ბ. ვიზიტის პერიოდში აღნიშნულ შენობაში მიმდინარეობდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მიუხედავად იმისა, რომ შენობები მდებარეობენ მომიჯნავე ტერიტორიაზე, სივრცე, რომელშიც სკოლის განმარტებით უნდა განთავსდეს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და სპორტული დარბაზი, არ იყო დაკავშირებული სკოლის ძირითად შენობასთან, საჭიროებდა შემოვლითი გზით გადაადგილებას. (სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტის თანახმად იგეგმება შენობების დაკავშირება).

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა მოწყობილი სპორტული დარბაზი- შესაბამისი აღჭურვილობით. სპორტის გაკვეთილების შეუფერხებლად ჩატარებისათვის სკოლამ სსგ-ით განსაზღვრა 6 დღიანი სწავლება, რომლის ფარგლებშიც შაბათ დღეს გამოიყენებს მხოლოდ სპორტის გაკვეთილებისთვის. ამავდროულად სკოლას გაფორმებული ჰქონდა ქირავნობის ხელშეკრულება სპორტ-კომპლექს ლიდერსპორტ არენასთან. ხელშეკრულების თანახმად: ,,შენობაში, მეორე სართულზე არსებული ჯამური ფართობიდან 2477.85 კვ.მ -დან - 180 კვ.მ. ფართი - ტანვარჯიშის დარბაზით და ასევე ამ ფართებში არსებულ მოძრავ ნივთებით 2023 წლის 1 ოქტომბრიდან 2024 წლის 31 ივლისის ჩათვლი სკოლა ისარგებლებს შედეგი გრაფიკის მიხედვით: ყოველი შაბათი, 09:00 სთ-იდან -18:00 სთ-მდე.

რაც შეეხება **საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის** (შესაბამისი აღჭურვილობით) მოწყობამდე, სკოლას დაგეგმილი აქვს ვირტუალური ლაბორატორიით სარგებლობა. ამავდროულად დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში დააფიქსირა, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებას დაიწყებს 2024 წლის იანვრიდან; წარმოადგინა როგორც ლაბორატორიული ინვენტარის, ისე ვირტუალური ლაბორატორიების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; აგრეთვე რეალისტურ ვადებში გაწერა ლაბორატორიის მოწყობისა და ინვენტარის იმპორტის პერიოდი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლაში გარდა სამუშაო სივრცეებისა, არის საერთო სარგებლობის სივრცეები. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით და ლაბორატორიებით სარგებლობის წესები, რომელთა მიზანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. საბიბლიოთეკო სივრცე, რომელსაც სკოლა ამავდროულად საკონფერენციოდ და შეხვედრების ორგანიზებისთვისაც იყენებს მდებარეობს სკოლის სამსართულიანი შენობის პირველ სართულზე. სკოლას შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში 31.12.2023 პერიოდამდე გაწერილი აქვს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად სასწავლო რესურსების კატალოგის დამუშავება .

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

3. სკოლის პირველ სართულზეა განთავსებული ბიბლიოთეკის სივრცე, ადაპტირებული საპირფარეშო. პროექტის თანახმად პირველივე სართულზე იგეგმება სამედიცინო კაბინეტის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისა და სპორტული დარბაზის განთავსება. სკოლის ერთ-ერთი შესასვლელით შეუძლია ეტლით მოსარგებლე პირს ისარგებლოს. იმის გათვალისწინებით, რომ საკლასო ოთახები მდებარეობს მხოლოდ მეორე და მესამე სართულზე, შშმ პირების თავისუფალი გადაადგილება იზღუდებოდა. შშპ- პირის დაუბრკოლებლად გადასაადგილებლად სკოლამ ვიზიტის პერიოდი შეიძინა მოძრავი პანდუსი და შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით 10.09.2023-მდე პერიოდში გაწერა მისი დამონტაჟების ვადა. **ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობით შეფასდა.** ამავდროულად სასურველია სკოლამ გამოყოს სივრცე რესურს ოთახის მოწყობის მიზნით.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლის დერეფნებში მოწყობილია თავისუფალი სივრცეები კომფორტული დასაჯდომებით, რომელიც მოსწავლეებისა და მასწავლებლების ერთგვარი შეკრების ადგილი იქნება. აქვს გამწვანებულია და კეთილმოწყობილი ეზო, რომელშიც მოწყობილია სამუშაო და სარელაქსაციო სივრცეები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად სკოლას აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულფასოვანი ინფრასტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება სავალდებულო გაკვეთილებისა და დამატებითი მომსახურების შეუფერხებელი მიწოდება. საკლასო ოთახების ნაწილი მოწყობილია ინოვაციური სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნებისთვის, არასტანდარტული ფორმით, რაც ემსახურება თანამედროვე, უშუალო სასწავლო გარემოს ფორმირებას და საგაკვეთილო პროცესის განსხვავებულად წარმართვას. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ბიბლიოთეკის და სამკითხველო სივრცეების მოწყობის, ასევე სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის შესყიდვის პროცესი, მოლაპარაკებები ლაბორატორიის აღჭურვილობის, მათ შორის, ვირტუალურ-რეალური ლაბორატორიის კომპლექტის შესყიდვის მიზნით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერები უძრავი ქონების რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის სქემა;
- შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა;
- ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის ინვენტარიზაციის აქტი (სკოლის ინვენტარის ჩამონათვალი);
- სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის დებულება;
- სკოლის ბიბლიოთეკის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს გამორჩეულად ძლიერი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; თითოეული მოსწავლეზე სკოლას გათვლილი აქვს პერსონალური კომპიუტერი , რაც უდასტურდება ფლობის დოკუმენტაციითაც.
სკოლის საკუთრებაშია 245 კომპიუტერი/ლეპტოპი. სკოლას აქვს პრინტერი/ქსეროქსი, 2 პროექტორი, 11 ტელევიზორი, კამერა 7 ცალი და ა.შ; სკოლას მომსახურების ხელშეკრულება აქვს IT მომსახურებაზე, რომლის ფარგლებში შესაბამისი პირები საჭიროებისამებრ ეხმარებიან სკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში და უზრუნველყოფენ კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით.
შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. თითოეული მოსწავლისთვის სკოლას გათვლილი აქვს პერსონალური კომპიუტერი. კომპიუტერები განლაგებულია საკლასო ოთახებში, მოსწავლეების სამუშაო მაგიდებთან. სკოლის დირექცია და ადმინისტრაციაც უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით. შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, ყველა საკლასო ოთახში.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ინვენტარიზაციის აქტი (სკოლის ინვენტარის ჩამონათვალი).

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს ორგანიზაციაში დოკუმენტბრუნვის პროცესებს. წესი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და არეგულირებს შპს „აითი აკადემია სტეპში“ (შემდგომში - სკოლა) დოკუმენტაციის მიღების, შესრულების, გაგზავნის, აგრეთვე, მმართველობითი ხასიათის აქტების - ბრძანებების, ხელშეკრულებების და სხვა ტიპის საქმიანი დოკუმენტების აღრიცხვის და მასთან დაკავშირებული საქმიანობის წესებს. კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება შემოსული და გასული კორესპოდენციის, მმართველობითი ხასიათის და კოლეგიური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/ოქმების და გაფორმებული ხელშეკრულებების აღრიცხვა. სკოლაში წარმოებს შემდეგი ჟურნალები:საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; შემოსული კორესპოდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; გასული კორესპოდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; მოსწავლის ჩარიცხვის/ამორიცხვის, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი; საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; მემორანდუმების, მომსახურების, შესყიდვების და სხვა სახის ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი; კოლეგიური ორგანოების ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი. დოკუმენტბრუნვის პროცესზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება დირექტორს. **<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>** <u>სასურველია საქმისწარმოების წესის მიხედვით წარმოდგენილ დანართებს თან ერთვოდეს ბრძანების ნომრები და თარიღები.</u>

2. მოსწავლეთა დასწრებისა დააკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და მშობლებთან გაზიარებისთვის სკოლა გეგმავს მართვის პროცესში ელექტრონული მართვის სისტემის (LMS) გამოყენებას.

ვიზიტის პერიოდში საქმისწარმოება სკოლაში ხორციელდებოდა მატერიალური სახით, ამასთან, სკოლა აწარმოებდა მოლაპარაკებებს შესაბამისი სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვის მიზნით. ხელშეკრულების გაფორმების საკითხი შეთანხმებული ჰქონდა სუს სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსთან, შეთანხმებული იყო ხელშეკრულების დეტალებიც. სისტემის დანერგვამდე სავალდებულო კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შესაძენად სკოლამ წარმოადგინა დამზადების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. იმის გათვალისწინებით , რომ სკოლას შესაბამისობის

ერთწლიანი გეგმით, 16.10.2023 -მდე პერიოდში გაწერილი აქვს სკოლის მართვაში გამოიყენოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, ამათან რისკის დადგომის ალბათობა არ არსებობს **ინდიკატორი მეტწილი შესაბამისობით ფასდება.**

3. „აითი აკადემია სტეპს" არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, შესაბამისად, სკოლას არ აქვს სრულყოფილად წვდომა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან. სკოლა ინფორმირებულია იმ ვალდებულებების შესახებ, რასაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოიაზრებს და ავტორიზებული დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემდეგ აცხადებს მზაობას შექმნას სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ვაკე-საბურთალოს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესაბამისი ნებართვების მოპოვების თუ გარკვეული საკითხების შესათანხმებლად. იმის გათვალისწინებით, რომ „აითი აკადემია სტეპი" არ არის ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რაიმე სახის ანგარიშგება საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან არ მომხდარა. ამასთან, სკოლა ინფორმირებულია იმ ვალდებულებების შესახებ, რასაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოიაზრებს და გეგმავს თანამშრომლობას ყველა უწყებასთან, სკოლის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის და ორგანიზაციის განვითარების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი - https://stepschool3.wixsite.com/mysite . ასევე, სოციალური ქსელის გვერდი, სადაც განთავსებულია სხვადასხვა ინფორმაცია და სკოლის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტაცია, სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ვებ გვერდის სრულყოფა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია „აითი აკადემია სტეპის“ საქმიანობის შესახებ და საკონტაქტო ინფორმაცია არის სანდო და უტყუარია.სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ზოგადსაგანმანათლებლო სერვისის მიწოდების გამოცდილება დღეისათვის სკოლას არ აქვს, თუმცა, გეგმავს არაფორმალური განათლების მიწოდების სერვისის გამოცდილება განავრცოს ზოგადსაგანმანათლებლო სერვისზე და მიღებული უკუკავშირი გამოიყენოს სკოლის საქმიანობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი: https://stepschool3.wixsite.com/mysite , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი სკოლაში წარიმართება ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. ვიზიტის პერიოდში სკოლის ვებგვერდი დამუშავების პროცესში იყო. მასზე ნაწილობრივ განთავსებული იყო ინფორმაცია სკოლის შესახებ. დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა ვებ გვერდზე განთავსებული ყველა სავალდებულო ინფორმაცია : სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები.პირველადი ხარვეზი აღმოიფხვრა და შესაბამისად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- აითი აკადემია სტეპის“ ვებგვერდი: https://stepschool3.wixsite.com/mysite
- გვერდი სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/itstep.ge.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ორგანიზაცია არაფორმალური განათლების მიწოდებას საქართველოში ეწევა 2016 წლიდან და აქვს საკუთარი შემოსავლები. შემუშავდა საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ასახავს დაგეგმილ შემოსავლებს და ხარჯებს. ფინანსური მენეჯერი ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში ითვალისწინებს სავარაუდო შემოსავლებს და ხარჯებს, სკოლის პრიორიტეტებს. სკოლის ბიუჯეტი იმგვარად არის შედგენილი, რომ შესაძლებელია სკოლის მიერ დასახული სამოქმედო გეგმის განხორციელება. კერძოდ, ბიუჯეტი მოიცავს საგანმანათლებლო თუ მატერიალური რესურსებისათვის აუცილებელ თანხებს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის, წახალისებისათვის, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე შესაძენი რესურსებისათვის საჭირო ფინანსებს და სკოლის მიერ გასაწევ სხვა

ხარჯებს, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების მართვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხი. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს ფინანსური მენეჯერი. ის მონიტორინგს უწევს ბუღალტრის საქმიანობას და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური და ბუღალტრული პოლიტიკის დაგეგმვას, მართვასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; კერძოდ, შპს აითი აკადემია სტეპს შემუშავებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომელიც აღწერს მოსწავლეების და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლების უფლებებსა და მოვალეობებს, მოსწავლეთა ვალდებულებებს, მოსწავლისათვის შეუფერებელი ქცევის შედეგებს და მათზე რეაგირების წესებს (შინაგანაწესის დანართი N1 - შპს „აითი აკადემია სტეპის“ მოსწავლეების მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საქმის წარმოების წესი). სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც აღწერილია მოსწავლეთა ჩარიცხვის ადმინისტრირებისა და სხვა საკითხების რეგულირება, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებაში განსაზღვრულია მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი გასაჩივრების მექანიზმები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; წინამდებარე კრიტერიუმის პირველ ინდიკატორში აღწერილი სასკოლო წესები და რეგულაციები უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვის გამჭვირვალე მექანიზმებს. აღნიშნული წესები შემუშავებულია დაწესებულებაში დასაქმებული და სასწავლო პროცესის დაგეგმვაში ჩართული პირებისა და სტრუქტურული ერთეულების მიერ. იგეგმება აღნიშნული წესების ვებ-გვერდზე გამოქვეყნება და სკოლის ფუნქციონირების დაწყებისთანავე, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის გაზიარება. სკოლის წარომადგენლების მზაობაა, საჭიროების შემთხვევაში გადახედოს, მიიღოს და განიხილოს გაუმჯობესების რეკომენდაციები, და შეთანხმების შემთხვევაში, განავრცოს/დააკორექტიროს დოკუმენტაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება - აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება სკოლის ავტორიზაციის შემდგომ. წარმოდგენილია მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც აკმაყოფილებს მოქმედ კანონმდებლობას და მოიცავს ხელშეკრულებისათვის არსებით პუნქტებს. **ამ ეტაპზე არსებული ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულების ნიმუში.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (თავი III - სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის და მობილობის, მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერების წესი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; კერძოდ, დაწესებულებას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია სკოლის პროგრამებისა და საგანმანათლებლო სერვსების შესახებ ინფორმაცია. მოსალოდნელი ქცევის წესების რეგულაცია განსაზღვრულია

სკოლის შინაგანაწესში, ასევე დარეგულირდება კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. კერძოდ, დაწესებულებას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია სკოლის პროგრამებისა და საგანმანათლებლო სერვსების შესახებ ინფორმაცია. სკოლის ავტორიზაციისა და სასწავლო პროცესის დაწყების შემდგომ იგეგმება ინფორმაციის მუდმივი განახლება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად არეგულირებს პერსონალის მიერ კანონმდებლობის შესაბამისი, სანდო ინფორმაციის მთლიანობისა და ხელიმსაწვდომობის უზრუნველყოფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულების ნიმუში;
- დაწესებულების ვებ გვერდი: https://stepschool3.wixsite.com/mysite

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რომლის განხორციელების მთავარი საშუალებაა, დამრიგებლების მიერ მოსწავლეებთან გაღრმავებული მუშაობა მთელი წლის განმავლობაში და მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული სადამრიგებლო პროგრამები. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის ვალდებულებები, შეუფერებელი ქცევის შედეგები და დისციპლინური სახდელები. ყოველივე ზემოაღნიშნული მოსწავლეს ხელს უწყობს სასკოლო გარემოსთან და კულტურასთან ადაპტაციის პროცესში, სასკოლო გარემოში მისღები და მოსალოდნელ ქცევების გააზრებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.**
3. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.**
4. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.**
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს გაფორმებული ხელშკერულებები შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალთან. ავტორიზაციის მიღებისა და სწავლის დაწყების შემდგომ, სკოლა აქტიურად გეგმავს მოსწავლეთა ჩართულობის წახალისებას და მათი ინიციატივების მხარდაჭერას. დაწესებულების წარმომდგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მზაობას ახცადებს, მოსწავლეებს

შესთავაზოს მათი ინტერესებსა და ინიციატივაზე მორგებული აქტივობები და საჭიროების შემთხვევაში მოიძიოს შესაბამისი კვალიფიციური კადრი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა ქცევის კოდექსი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის პროგრამა. აღნიშნული საკონსულტაციო სერვისი მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების აღზრდას, რომლებიც წარმატებას მიაღწევენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. აღნიშნული სერვისი მოიცავს კარიერულ დაგეგმვაში დახმარებას, მათ შორის, შესაფერისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალის (ადგილობრივი, უცხოური) შესახებ, მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციი მიწოდებას როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე, მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლებისათვის; სასწავლო პროცესის დაწყების შემდგომ დაიგეგმება მოსწავლეთა ხელშემწყობი აქტივობები მათი პრიორიტეტების შესაბამისად. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

2. **<u>ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.</u>**
3. **<u>ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.3 სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი; დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების დანერგვის წესი, რომელიც ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 2

თებერვლის №16/ნ ბრძანებას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის, ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭირობის მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის შესახებ. დამტკიცებული წესის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიცირება, შეფასება, სტატუსის მინიჭება/მოხსნა, ასევე, უკვე იდენტიფიცირებული მოსწავლეების მხარდაჭერა. დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების პოლიტიკა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლება განხორციელდება „ეროვნული სასწავლო გეგმის" მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

2. სკოლის მასწავლებლების და დამრიგებლების სამუშაო მოვალეობები ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეების განსაკუთრებულ მხარდაჭერას, რაც მათ შორის, მოიცავს სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერას, თანატოლებთან ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში დახმარებას. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის საჭიროებების მიხედვით, მათი ინდივიდუალური მხარდაჭერის უზრუნველყოფის პრინციპს. სკოლა გეგმავს, თითოეულ მოსწავლეს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, მისცეს განსაკუთრებული შესაძლებლობა, გამოავლინონ ძლიერი მხარეები, რისთვისაც მხარდაჭერილი იქნება მასწავლებლების, დამრიგებლის და მოსწავლის ინიციატივები. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვის წესი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - ამ ეტაპზე სკოლა არ გეგმავს ინდიკატორით აღწერილი დამატებითი მომსახურების განხორციელებას, რომელსაც ესაჭიროება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან განხორციელების უფლების მიღება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას დაგეგმილი აქვს დამატებითი არასავლდებულო მომსახურების სახით კლუბები და წრეები. კერძოდ: დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგი სახის კლუბებს ფაკულტატური სახით, დამატებითი გადასახადის გარეშე:

კლუბის დასახელება	კლასი/კლასები	ორშაბათი ოთხშაბათი	სამშაბათი ხუთშაბათი
ემოციური ინტელექტი	7-11	+	
მე-მეცნიერი	8-12		+
სოციალური მეწარმოება	9-11		+
ვებდიზაინი	8-11	+	

ასევე, სკოლის მისიისა და ხედვიდან გამომდინარე, საბუნებისმეტყველო მეცნიერერებების მიმართ განსაკუთრებული ინტერესის აღძვრის მიზნით, დაწესებულებას მოსწავლეებისათვის შეთავაზებული აქვს ექსპერიმენტული ფიზიკის წრე; ექსპერიმენტული ქიმიის

წრე; ექსპერიმენტული ბიოლოგიის წრე და ინფორმატიკა-რობოტიკის წრე, არსავალდებულო სახით, დამატებითი გადასახადის გარეშე.
აღნიშნული მომსახურებების შესახებ ინფორმაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. ასევე წარმოდგენილია მომსახურების განხორციელების დასაბუთება და მოსწავლეთა მხრიდან აღნიშუნლი აქტივობების არჩევის პრინციპები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
- კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
- კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
- კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლს აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება „ეროვნული სასწავლო გეგმის“ საგნობრივი სტანდარტების და მეთოდიკური ორიენტირების მოთხოვნების გათვალისწინებით. ამასთან, სკოლა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული წესით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევას, მათი შეხედულებების და პრიორიტეტების შესწავლის და გათვალისწინების მიზნით, რაც ადასტურებს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედეულებების და პრიოტიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. იგივე დასტურდება კათედრების წევრებთან გასაუბრებითაც. ამ ეტაპზე სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია მასწავლებლების, სკოლის დირექციის, მმართველი საბჭოს და ადმინისტრაციის ჩართულობით. მასწავლებლებმა თავიანთ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმეს საბაზო საფეხურის კურიკულუმი. გამოკვეთეს მნიშვნელოვანი თემები, გრძელავადიანი მიზნები, ძირითადი და დამატებითი ტექსტები, რესურსები. შექმნეს თემატური მატრიცები. დაგეგმეს, რამდენი კომპლექსური დავალება უნდა განეხორციელებინათ საბაზო საფეხურზე. ვინაიდან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინტერესები, ასევე მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უკუკავშირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებსა და ინტერესებს.

რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები, მათი უკუკავშირის მიღების გზები და აღნიშული უკუკავშირის სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით გამოყენების მექანიზმი. ინტერვიუს დროს სკოლის მენეჯმენტის წევრებმა და მასწავლებლებმა ისაუბრეს კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებაზე ორიენტირების მნიშვნვლენობაზე; მათ გამოთქვეს მზაობა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინებასტან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ საგნის მასწავლებლები, კათედრები და დირექცია. ასევე, წარმოდგენლია მოსწავლეებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობის მექანიზმები, სკოლის ამოქმედების შემდგომ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებას სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესთან და ამ პროცესში მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებით. სასკოლო საზოგადოება შემოქმედებითად უდგება სასკოლო კურიკულუმების შემუშავების პროცესს, ერთობლივი მუშაობის შედეგად განიხილავს კურიკულუმის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების, ასევე კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის ეტაპებს, დადგენილი წესის შესაბამისად ამტკიცებს შემუშავებულ დოკუმენტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, კათედრების წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, სკოლას ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელის ფუნქცია-მოვალეობაა დაგეგმოს სკოლის ოფიციალურ ვებგერდზე და სოციალურ ქსელში სკოლის პოზიციონირება, მოამზადოს მასალები და განათავსოს საკომუნიკაციო ველში. სკოლა გამოიყენებს მთელი რიგ მექანიზმებს (სკოლის ვებგვერდი; ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდზე; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან) კურიკულუმის გასაჯაროებისა და სასკოლო საზოგადოებისთვის გასაზიარებლად. ამავდროულად სკოლას შემუშავებული აქვს უკუკავშირის მიღების და გათვალისწინების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები მოემსახურება როგორც ხარისხის უზრუნველყოფას, ასევე, სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- შპს აითი აკადემია სტეპის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც იკვეთება მზაობა იმისა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, მონიტორინგის და გადამუშავების ეტაპზე ძირითადი ამოცანაა მოსწავლეზე ორიენტირებულობა, რაც გულისხმობს მოსწავლის საჭიროებების და შესაძლებლობების შეფასებას, სწავლის სტილის გათვალისწინებას, მის გააქტიურებას, სასწავლო პროცესის დაგეგმვაში ხელშეწყობას და მასწავლებლის, როგორც მიმართულების მიმცემის როლის დამკვიდრებას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი, საბაზო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო ცხრილების წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ვინაიდან:

1. კურიკულუმები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ, გრძელვადიან მიზნებზე. გრძელვადიანი მიზნები დეტალურად არის აღწერილი სამიზნე ცნებების სახით.
2. შუალედური სასწავლო მიზნების სახით, ჩადებულია კომპლექსური ბუნების დავალების პირობები. მითითებულია სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის.
3. კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა მეტ ყურადღებას სასწავლო პროცესზე ამახვილებს, მოსწავლეს აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას, მაღალი სააზროვნო უნარებისა და შესრულებული სამუშაოს თვით რეფლექსიის უნარის განვითარებას.
4. კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ცოდნის აგების, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას უწყობს ხელს.
5. სასწავლო თემები ითვალისწინებს საბაზო საფეხურის ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს.

შენიშვნა: უცხოური ენის თავდაპირველად გადმოგზავნილ კურიკულუმებში, ზოგიერთი კომპლექსური ბუნების დავალების არსი ბოლომდე გააზრებული არ იყო, თუმცა, ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა თავადვე შეასწორეს და დააზუსტეს კომპლექსური დავალების პირობები, რის დასტურადაც გადმოაგზავნეს რამდენიმე განახლებული კურიკულუმი. ასევე, ინტერვიუს დროს, აღნიშნეს, რომ სკოლა პირველად იწყებს ფუნქციონირებას და ჯერ კიდევ მიმდინარეობს კურიკულუმის შევსება. პედაგოგებთან გასაუბრების დროს, გამოიკვეთა, რომ მათ ესმით კომპლექსური დავალებების მნიშვნელობა მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სკოლას აქვს სამომავლო სწორი ხედვა. **აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტთან.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, რაც გულისხმობს როგორც საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებს და შედეგებს, ისე გამჭოლ კომპეტენციებს: პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომობა, კომუნიკაცია, ეთიკა, მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა, დროსა და სივრცეში ორიენტირება, კვლევა, სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა, პასუხისმგებლობა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, წიგნიერება.

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სკოლას შერჩეული აქვს ისეთი სასწავლო თემები და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული 6 ფუნქციური უნარის (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა) განვითარებას უწყობს ხელს.

მაგალითად, მეცხრე კლასის, რუსული ენის კურიკულუმში, ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული, სასწავლო თემის ფარგლებში დაგეგმილი, კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეებს მოეთხოვებათ ბლოგპოსტის მომზადება, რომელშიც უნდა განიხილონ ეკოლოგიური პრობლემები. მოცემული კომპლექსური დავალება, ერთის მხრივ მიემართება უცხო ენების სავალდებულო თემატურ ჩარჩოს, მეორეს მხრივ კი ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებითობასა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას. მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალებები წარმოდგენილია საბაზო საფეხურის, პირველი და მეორე (რუსული, ფრანგული, გერმანული) უცხო ენების კურიკულუმებში, რომლებიც სამიზნე ცნებებზე მუშაობის დროს, მრავალფეროვანი სასწავლო თემების ფარგლებში, ფუნქციურ უნარებს ავითარებს.

გარდა ამისა, საბუნებისმეტყველო მიმართულებით სკოლა გეგმავს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზებას სპეციალური კურსების, კლუბების, წრეების სახით. მთლიანობაში, სასკოლო კურიკულუმი დაგეგმილია იმ სახით, რომ მოამზადოს მაღალი ინტელექტუალური ღირებულებების მქონე, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი ადამიანები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს სკოლის მოსწავლეების კონკურენტუნარიანობას სწავლის გაგრძელების მიზნებისათვის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრები მთელი ზაფხულის განმავლობაში იმუშავებენ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნაზე, რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) განვითარებაზე კიდევ უფრო მეტად იქნება ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება რომ, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცედურა და მეთოდოლოგიური საკითხები მოიცავს ვალდებულებას, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულ იქნას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები: მნიშვნელოვანია მოსწავლის სურვილის, შესაძლებლობის და მოთხოვნილების გათვალისწინება სასწავლო მასალის შერჩევისას; მოსწავლეთა მოტივაციის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, გააძლიერებენ ინტერაქტიურ სასწავლო გარემოს. მასწავლებლები მოსწავლეებს ინდივიდუალურ, სპეციფიურ საჭიროებებზე დაყრდნობით გაუწევენ კონსულიტირებასა და მხარდაჭერას, რაც გაზრდის მოსწავლეთა აკადემიური შედეგების მიღწევის დონეს.

კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სასწავლო თემები და კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ვიზიტის დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების მიხედვით, გამოიყენებენ დიფერენცირებული მიდგომის მეთოდებს, მაგ: მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით შეარჩევენ და შეცვლიან აქტივობებს; ადაპტირების მიზნით, კომპლექსურ დავალებას გაამარტივებენ და მოარგებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სასწავლო შინაარსს გაუწევენ მოდიფიცირებას და გახდიან უფრო მრავალფეროვანს. გამოიყენებენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს.ინკლუზიური მიდგომების სასწავლო პროცესში გამოყენების საკითხი, სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით აქვს დარეგულირებული, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლის სწავლების განხორციელების მექანიზმები. სასკოლო სასწავლო გეგმის რეგულაციებიდან გამომდინარე, სკოლა, საჭიროების მიხედვით, შეადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს, გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა მიღების შედმდგომ პედაგოგები გაითვალისწინებენ მათ ინდივიდუალურს საჭიროებებს და ცვლილებებს შეიტანენ დაგეგმილ აქტივობებში, შესთავაზებენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის, საჭიროებისამებრ, შემუშავებული იქნება ინდივიდუალური გეგმები, რომელთა დახვეწას და სრულყოფა იგეგმება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ სკოლაში იგეგმება ორი ტიპის შეფასების - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების - გამოყენება. კათედრებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ შეფასება აწარმოონ მკაფიოდ გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით, საგნობრივ სტანდარტებთან მიმართებაში, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე განმასზღვრელი რუბრიკის შექმნა საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შესასწავლი თემებისთვის. პედაგოგებს შექმნილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე, იგეგმება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა ყოველი კონტექსტ - მაგალითის მიმართ.

ვიზიტის დროს სკოლის პედაგოგებმა დააღსატურეს, რომ აქვთ ზემოთ აღწერილი პროცესის დაგეგმვისა და გააზრების შესაძლებლობა. მაგალითად, პირველ ეტაპზე, უცხო ენების კათედრამ ატვირთა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც არ ჩანდა კრიტერიუმების თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების სამიზნე ცნებებთან კავშირი, თუმცა ვიზიტის დროს, რჩევის საფუძველზე, მასწავლებლებმა ამ პრინციპით შედგენილი განმსაზღვრელი დავალების რუბრიკები თითოეული უცხო ენისთვის (ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული) ცალკ-ცალკე წარმოადგინეს. მოცემულ რუბრიკებში გათვალისწინებულია შეფასების კრიტერიუმების მიმართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან.

გასაუბრების დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ვინაიდან სკოლა პირველად იწყებს ფუნქციონირებას, შეფასების რუბრიკებს მომავალში უფრო დახვეწავენ და საჭიროების მიხედვით მოარგებენ სასწავლო პროცესს. რაც შეეხება განმავითარებელი შეფასებას, თავდაპირველად, მხოლოდ რუსული ენის მაგალითზე იყო წარმოდგენილი საბაზო საფეხურზე დაგეგმილი, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების (სტატია კედლის გაზეთისთვის), განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. მოცემულ რუბრიკაში კარგად არის გაწერილი კავშირები გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის. ასევე ინტეგრირებულია სოლო ტაქსონომიის შეფასების სქემა თავისი დონეებით. ვიზიტის დროს, უცხოური ენების მასწავლებლებმა ეს გამოცდილება საკუთარ საგნებში გადაიტანეს და თითოეული ენისთვის (ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული) ცალკ-ცალკე წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა უკუკავშირის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორის მოთხოვნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ვინაიდან, სკოლას აქამდე არ განუხორციელებია სასწავლო პროცესი და პირველად იწყებს ფუნქციონირებას, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ვერ გაითვალისწინებდა წინარე გამოცდილებას. თუმცა, სკოლას უკვე აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგია, რომელშიც მითითებულია, რომ ყოველი მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნება მთელი წლის მანძილზე შეგროვებული მონაცემები. წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმში შეიტანენ სასწავლო საკითხებსა და შუალედური მიზნებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას განხორციელდება მოსწავლეების და მშობლების მოსაზრებების გათვალისწინება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით (შესაბამისი ინტერესების კვლევა, გამოკითხვის შედეგების ანალიზი და სხვა). სასწავლო წლის დასრულებისთანავე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი უზრუნველყოფს შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. სკოლა გამოხატავს მზაობას კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების შედეგად ყოველწლიურად შემუშაოს რეკომენდაციები და მათი გათვალისწინების საფუძველზე შექმნას კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია, რომელიც მეტად პასუხობს სკოლის და სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესებს, შესაძლებლობებს და გამოწვევებს.

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის კურიკულუმები სკოლის მასწავლებლების ჩართულობით მიიღებს დასრულებულ სახეს და გათვალისწინებული იქნება მათი წინარე და წარმატებული გამოცდილების პრაქტიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- შპს აითი აკადემია სტეპის სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი.
- შპს აითი აკადემია სტეპის დებულება;
- შპს აითი აკადემია სტეპის ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისა და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმის) შემუშავების მიზნით მასწავლებლების შეხვედრის ოქმი №1;
- შპს აითი აკადემია სტეპის სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვის წესი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისას ჩანს, რომ სასკოლო კულტურა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას აქტიური სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების საშუალებით. სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობის მექანიზმები; იგრძნობა სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო.

მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობას; გასაუბრებისას, მათ ექსპერტთა ჯგუფს გაუზიარეს, თუ როგორ აპირებენ კომპლექსური დავალების განხორციელებას - მასწავლებლები სასწავლო პროცესში გაითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, დაეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას დაუკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას. კათედრებს მომდევნო სასწავლო წლისათვის გადაწყვეტილი აქვთ ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელება.

კურიკულუმებში შეტანილია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნას ავალდებულებს, როგორიცაა, მაგალითად, ვიდეო რგოლები, ბლოგები, ლიფლეტები, პოსტერები და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

გარდა ამისა, საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს, კერძოდ, შესთავაზებენ მათ სასკოლო პროექტებს, საკლუბო, საწრეო აქტივობებს და შესაბამისად, 2023 – 2024 წლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საბაზო საფეხურის

კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. მოსწავლეებს ექნებათ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ მოხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება.

კურიკულუმის სასწავლო თემებისა და კომპლექსური დავალების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში, შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
სკოლას სასწავლო პროცესი ჯერ არ განუხორციელებია და, შესაბამისად, არ გააჩნია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით სასწავლო პროცესის განხორციელების პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობი სასწავლო თემები და კონტექსტები, რომელიც, მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. კურიკულუმი კომპლექსური დავალების სასწავლო პროცესში გამოყენებას ითვალისწინებს. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.

წარმოდგენილი კურიკულუმები, მოცემული კომპლექსური დავალებები, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა, პროექტების დაგეგმვა და განხორციელება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ და დავასკვნათ კიდეც, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნების გარეშე ვერ განხორციელდება, რადგან კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის კონსტრუირებას და აუცილებელი ფაქტორია ამ მუშაობის პროცესში. იგივე დადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას. **მათ აღნიშნეს,** რომ სასწავლო პროცესი დაეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და წარიმართება ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაციის აქტიურად ცოდნად გარდაქმნის პროცესს.

მაგალითად, საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლების მიერ ინტერვიუს პროცესში იქნა მაგალითები მოყვანილი, თუ როგორ ახდენს დავალების ყოველ ახალ, მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლე წინარე ცოდნისა და გამოცდილებაზე ახალი ცოდნის დაშენებას, უკავშირებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ახდენს ცოდნის ტრანსფერს. აღნიშნული მტკიცებულებები გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ასევე, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია მე-3 თაობის ესგ-ს რეკომენდაციები. მასწავლებლებმა აღნიშნეს და კურიკულუმშიც გამოიკვეთა, რომ ისინი სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენებენ კონსტრუქტივისტულ სგანმანათლებლო მიდგომებს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის აგებას. პედაგოგებს კურიკულუმის ყველა ჩარჩოში წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით. მათ მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, რესურსები ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

საბაზო საფეხურის კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსწავლე პასუხობს საკვანძო შეკითხვებს, რომელიც ხელს უწყობს, გააკეთოს რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში. მაგალითად: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს. ეს შეკითხვები მნიშვნელოვანია, რათა დეტალურად გაანალიზდეს თითოეული ნაბიჯი, სწავლის პროცესი, რასაც, შესაბამისად, მოჰყვება უკუკავშირი, როგორც თანაკლასელებისაგან, ისე მასწავლებლისგანაც. შესაბამისად, აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. სკოლას ამ მიმართულებით სასწავლო პრაქტიკა არ აქვს, ვინაიდან პირველად იწყებს ფუნქციონირებას, თუმცა, რადგან კათედრებს სწავლების პროცესი კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაყრდნობით აქვთ დაგეგმილი, სკოლა შეძლებს ამ კრიტერიუმის დაკმაყოფილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო საკითხები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური ბუნების დავალების პირობები უზრუნველყოფს სამივე კატეგორიის ცოდნის დამუშავებას. კურიკულუმის კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული, საგნობრივი საკითხების ფარგლებში დაგეგმილი, კომპლექსური ბუნების დავალებები ძირითადად მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორ გამოიყენებენ მოსწავლეები დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას მუშაობის პროცესში. სწავლების პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები და აქტივობები და მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, საკუთარი ცოდნით შექმნან შემოქმედებითი პროდუქტები.

მაგალითად, რუსული ენის მე-9 კლასის კურიკულუმში, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლე თანატოლს ელექტრონულ წერილს უგზავნის საკუთარი ქალაქის შესახებ. მოსწავლეს მოეთხოვება არა მხოლოდ ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულების ცოდნა (დეკლარტიული) და მათი გამოყენება (პროცედურული) არამედ, შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინება

- კომუნიკაციის მიზანი, მონაწილეები, თემა, ადგილი, დრო (პირობისეული) და სხვა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ **სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ იკვეთება ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. საკითხები, ქვეცნება და ქვესაკითხი კი უკავშირდება სამიზნე ცნებას. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად, ვიდეორგოლი, წერილი, ბლოგი, პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კლუბები და წრეები. გარდა ამისა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმილი აქვთ საგანთა შორის ინტეგრირება, მაგალითად, კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, საგანში სამოქალაქო განათლება, მოცემულია ტექნოლოგიებთან ინტეგრირებული დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- შპს აითი აკადემია სტეპის სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი.
- შპს აითი აკადემია სტეპის დებულება;
- შპს აითი აკადემია სტეპის ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისა და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმის) შემუშავების მიზნით მასწავლებლების შეხვედრის ოქმი №1;
- შპს აითი აკადემია სტეპის სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვის წესი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, რადგან წარმოდგენილია სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნები განსაზღვრული სამიზნე ცნებების სახით. რაც გულისხმობს საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებს და შედეგებს, სასწავლო საკითხების შერჩევას და დამუშავებას გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით; შესაბამისად შრჩეულია თემა, საკითხები და ქვესაკითხები, რაც საფუძველს ქმნის იმისა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოს სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

მაგალითად, საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ლაბორატორიები (სკოლაში ვიზიტისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ქიმიის ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები 2023 – 2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრისთვის უკვე მზად იქნება), სკოლას ყველა კლასის თითოეულ მოსწავლეზე გამოყოფილი აქვს ინდივიდუალური კომპიუტერი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში ისარგებლონ ინტერაქტიური (ონლაინ) ლაბორატორიებით, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების განხორციელებასა და ეროვნული სასწავლო გეგმით

განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, რაც გულისხმობს საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს და შედეგებს, სასწავლო საკითხების შერჩევას და დამუშავებას გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით.

ასევე, საბაზო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილავენ კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, გათვალისიწინებულია მოსწავლის მიერ კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტის" შექმნა, რომელიც შეფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
გასაუბრების შედეგად მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ზრუნვა. შერჩეული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი აქტივობები და პროექტები მეტწილად მოსწავლის პიროვნულ განვითარებას მიემართება, რაც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას, მეტად გამოხატონ თავიანთი გრძნობები, ემოციები, მართონ საკუთარი თავი, შეეძლონ საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა და თვითშეფასება, ადაპტირება იმ გარემოსთან, სადაც უწევთ მოქმედება და ურთიერთობა თანატოლებთან. სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ენიჭება მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას".

ნათელი მაგალითისთვის, საბაზო საფეხურის, უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგალითად: ოჯახი, სკოლა და განათლება, მეგობრები, ქალაქის ცხოვრება, ბუნება და ეკოლოგია, თავისუფალი დრო, დღესასწაულები, მოგზაურობა, ჯანმრთელი კვება, ტექნოლოგიები და სხვა). ასეთ თემებზე მუშაობა, მნიშვნელოვანია მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის. კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც კურიკულუმებშია ჩადებული, ხელს შეუწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ, სხვადასხვა დავალების შესრულების გზით, გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე.

ასევე, მაგალითად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებულია სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს; აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილია მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. გათვალისწინებულია მოსწავლის მრავალმხრივი შეფასება, მისი როგორც აკადემიური, ისე პიროვნული განვითარების მხარდაჭერისთვის. ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მნიშვნელობას. როდესაც სკოლა ფუნქციონირებას დაიწყებს, შეფასება გახდება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი. მასწავლებლები გამოიყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას;

პირველ ეტაპზე, უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაზუსტდა ვიზიტის დროს. მოცემულ რუბრიკებში გათვალისწინებულია შეფასების კრიტერიუმების მიმართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან, ინტეგრირებულია სოლო ტაქსონომიის შეფასების სქემა თავისი დონეებით, რაც, სკოლის მიერ დაგეგმილ შეფასების მიზნებთან ერთობლიობაში, უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებას უცხო ენების სწავლების პროცესში. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, შექმნილი აქვთ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. 20203 – 2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს საბაზო საფეხურის სტანდარტით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო თემასთან მიმართებით, დაიხვეწენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს კომპლექსურ დავალებებთან მიმართებით, ხოლო სასწავლო პროცესის დაწყების შემდგომ აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, მოახდენენ დიაგნოსტიკური წერის ანალიზს.

გარდა ამისა, სასწავლო წლისთვის დაწყებამდე იგეგმება ახალი გამოწვევის შესაბამისად ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა, სადაც მოსწავლეები საკუთარ ცოდნაზე იფიქრებენ, თავად იქნებიან საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორები, მასწავლებელს კი ამ პროცესში ფასილიტატორის როლი ექნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
წარმოდგენილ მასალებიდან და გასაუბრებისას დასტურდება, რომ სკოლაში შეფასება სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას და წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს, მისი თანამდევი პროცესია და მისი მთავარი დანიშნულებაა, ერთი მხრივ, სწავლების ეფექტიანი გაუმჯობესება და, მეორე მხრივ, სწავლა / სწავლების შედეგების შემოწმება-შეფასება.

ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას დააფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში. შეფასების ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს კათედრების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის პროექტი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს განახორციელოს მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამ მიზნით, დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში, ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობით, შეადგენს ვერიფიკაციის გეგმას. ვერიფიკაციის პროცესში, ჯგუფი დაადგენს შეფასების შესაბამისობას ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, **კათედრის წევრებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა გამოთქვამას მზაობას შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, შეფასების მტკიცებულებების მოპოვება, გადაბარება, შენახვა და სათანადო აღიცხვა უზრუნველყოს კანონმდებლობის და დადგენილი წესის შესაბამისად,** არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაცია;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
წარმოდგენილი მასალების, კურიკულუმების და მათი შემუშავების მეთოდოლოგიის გაცნობით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი სასწავლო გარემოს შექმნას. მასწავლებლები მოსწავლეებს ინდივიდუალურ, სპეციფიურ საჭიროებებზე დაყრდნობით გაუწევენ კონსულიტირებასა და მხარდაჭერას. სკოლაში გეგმავს კეთილგანწყობილი, საქმიანი და მოწესრიგებული სივრცის შექმნას, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, მოსწავლე იქნება დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, სკოლა პასუხისმგებლობას იღებს მოსწავლეები უზრუნველყოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით-ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.

სკოლა მოსწავლეებს ასევე შესთავაზებს მრავალფეროვან საკლუბო, საწრეო, სპორტულ აქტივობებს, პროექტულ სწავლებასა და საკონსულტაციო დროს, როგორც დამატებით სერვისს. გარდა ამისა, დამატებითი სავალდებულო მომსახურების ფარგლებში, მოსწავლეებს ჩაუტარდებათ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიები და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
წარმოდგენილი მასალების ანალიზით, კურიკულუმებისა და კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის შესწავლით, ასევე კათედრების წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი

დაგეგმილია და განხორციელდება მოსწავლეების საჭიროებების, შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინებით. სკოლა გამოხატავს მზაობას, შექმნას ისეთი გარემო, რომელიც აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, იზრუნებს მათ განვითარებაზე. ამ მიზნით, სკოლა გეგმავს მოაწყოს თანამედროვე საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, სპორტული და დასვენების სივრცეები და სხვა.

გასაუბრების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული იქნებიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, ხელს შეუწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების გამოვლენასა და განვითარებას, დაეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
სკოლა მიმდინარე ეტაპზე არ ფუნქციონირებს, თუმცა სასწავლო პროცესში თანამშრომლობითი გარემოს უზრუნველყოფისთვის სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისი მექანიზმები სასკოლო სასწავლო გეგმასა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. ასევე სკოლის დებულებასა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვით და გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის შექმნილია შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო, სადაც პედაგოგები გაუზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, განაალიზებენ გამოცდილებას, დაადგენენ საჭიროებებს, ისაუბრობენ წარმოქმნილ პრობლემებზე, ერთობლივად ეძიებენ პრობლემის გადაჭრის გზებს, ერთობლივად შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, გაეცნობიან სიახლეებს, ისაუბრებენ წარმატებული პრაქტიკის შესახებ და დანერგავენ თავიანთ პედაგოგიურ საქმიანობის პროცესში. პედაგოგები გამოხატავენ მზაობას სასწავლო პროცესი ამ მიდგომით წარიმართოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
სკოლის ინფრასტრუქტურა, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი რეგულაციები, შინაგანაწესი და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს სკოლაში პოზიტიური ატმოსფეროს შექმნას. საგნობრივი კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე მასწავლებლებთან გასაუბრების დროს იკვეთება, რომ სკოლა გამოიყენებს კონსტრუქტივისტულ მიდგომებს, რომელიც დაეხმარება მას უზრუნველყოს პოზიტიური გარემო საკლასო დონეზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში არსებული სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დადგენილი წესები, მიდგომები, ღირებულებები, სწავლების თანამედროვე მეთოდების და სტატეგიების გამოყენება უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე.

სასკოლო სასწავლო გეგმაში სასწავლო გარემოში პოზიტიურ დამოკიდებულებებზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული. ამავდროულად სკოლაში დამრიგებლის და დამრიგებლის ასისტენტის პოზიციაა გათვალისწინებული, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა პოზიტიური კლიმატის შექმნა. სასკოლო კლიმატთან დაკავშირებული საკითხების განხილვა იგეგმება მასწავლებლებთან გაერთიანებულ შეხვედრებზე, რის მიხედვითაც გათვალისწინებული და გამოყენებული იქნება

პედაგოგთა გამოცდილება და მოსაზრებები სკოლაში კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით. პროცესის წარმართვისთვის სკოლას აქვს ხედვა და მზაობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- შპს აითი აკადემია სტეპის დებულება;
- შპს აითი აკადემია სტეპის შინაგანაწესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სკოლას აქვს შემუშავებული ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგია", სადაც „სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასების" ნაწილში ასახულია, თუ როგორ და რა აქტივობებით და საშუალებებით განხორციელდება სკოლის და საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დაწესებულებას ეს პროცესი წარმოდგენილი აქვს კათედრების წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობით. მონიტორინგი და შეფასება წარიმართება რამდენიმე მსხვილი მიმართულებით, როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარებით, სადაც იქნება შესაძლებლობა პედაგოგიური პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით, სადაც იქნება საშუალება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების განვითარების და გაძლიერების. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე პედაგოგებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ სკოლას აქვს მზაობა სამომავლოდ დანერგოს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმი და განხორციელებული აქტივობების ანალიზი. შესაბამისად 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; სკოლის დოკუმენტაციაში აღწერილია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვის და ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ძირითად საკითხები, რითაც დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტის შესაბამისად და მონიტორინგის და შეფასების მიზანია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. სკოლა გამოხატავს მზაობას ამ პროცესებმა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების წევრების (სკოლის პერსონალი, მოსწავლე, მშობელი) სწორ ორიენტირებას სასკოლო გარემოში. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება; ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.
სკოლა ამ ეტაპისთვის არ ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას, შესაბამისად არ აქვს ინდიკატორით განსაზღვრული პრაქტიკა, თუმცა პროცესი, რომ მონიტორინგმა და შეფასებამ უნდა განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებები არის სკოლის მხრიდან გააზრებული; დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები.

კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, მითითებულია, რომ მონიტორინგი კურიკულუმის განხორციელების დროს წარმოშობილი პრობლემების იდენტიფიცირებას ისახავს მიზნად. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები. ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევა წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება (ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად); სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთილი მიღწევები და პრობლემები გაანალიზდება და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- შპს აითი აკადემია სტეპის დებულება;
- შპს აითი აკადემია სტეპის შინაგანაწესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის კათედრების დებულება;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
დოკუმენტაციის შესწავლითა და გასაუბრებით დგინდება, რომ შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, მასწავლებლის პორტფოლიოს, დიაგნოსტიკურ წერებს, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების შედეგებს, შემაჯამებელი წერების შედეგებს, საკლასო და საშინაო დავალების შესრულების მონიტორინგს, პროექტებში მონაწილეობას, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს, რათა შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლა მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტს ანიჭებს კომპლექსურ, ცხოვრებისეული კონტექსტების მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები ასევე უზრუნველყოფენ კონსტრუქტივისტულ პრინციპების, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის შეძენის, გამჭოლი უნარების, ღირებულებების და გლობალური ფუნქციური უნარების გათვალისწინებას.

სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლას გათვალისწინებული აქვს დამატებითი არაფორმალური საგანმანათლებლო მომსახურება, სხვადასხვა საგნობრივი წრეების სახით. სკოლის დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლე შეფასდება მრავალი კონტექსტის საფუძველზე, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე საწრეო, საკლუბო და კომპლექსურ, ცხოვრებისეული შინაარსის მქონე დავალებებზე მუშაობის დროს.

შეფასების განხორციელება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება გამახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
წარმოდგენილი მასალებით და გასაუბრებით დგინდება, რომ შეფასება წარიმართება საგაკვეთილო პროცესის, განხორციელებული პროექტების, სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის გათვალისწინებით. შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: მოსწავლეთა დაკვირვებას, მოსწავლის შეფასებების შედეგების ანალიზს, კითხვებს, ქვიზებს, გამოკითხვას, თვითშეფასებას, ტესტებს და სხვ. აღსანიშნავია, რომ სკოლას ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა საშუალებას მისცემს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომის უზრუნველყოფას და თითოეული მეთოდის სუსტი მხარეების დაბალანსებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასება განხორციელდება საშინაო დავალების, საკლასო დავალების, კომპლექსური დავალების, პროექტებზე მუშაობის, შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების, პრეზენტაციის უნარის, ამოცანების ამოხსნის ალგორითმის საფუძველზე. იგეგმება მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. კათედრებთან გასაუბრებით დგინდება, რომ შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ამ მიზნით, სკოლა გეგმავს ხელი შეუწყოს მოსწავლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, პროექტებსა და სხვა ღონისძიებებში. უკუკავშირები გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. შეფასებისას ასევე გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- შპს აითი აკადემია სტეპის შინაგანაწესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის კათედრების დებულება;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში აღიწერილია ინფორმაციის შეგროვების წყაროები, კონტექსტები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები, შესაბამისი ვადები, პასუხისმგებელი პირები და დოკუმენტები, რომლებიც უნდა შემუშავდეს. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების შედეგად ყოველწლიურად დამუშავდება რეკომენდაციები და მათი გათვალისწინების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის გაუმჯობესებელი ვერსია, რომელიც მეტად პასუხობს სკოლის და სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესებს, შესაძლებლობებს და გამოწვევებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლა გამოხატავს მზაობას, გადამუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულ იქნეს მიღებული გამოცდილება, მონიტორინგის და შეფასების შედეგები, კურიკულუმის რევიზიის შედეგად მიღებული მონაცემები. აღნიშნული მექანიზმები გაწერილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიაში, სკოლის სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტსა და სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- შპს აითი აკადემია სტეპის შინაგანაწესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მეთოდოლოგია;

- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლას აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება „ეროვნული სასწავლო გეგმის“ საგნობრივი სტანდარტების და მეთოდიკური ორიენტირების მოთხოვნების გათვალისწინებით. ამასთან, სკოლა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული წესით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევას, მათი შეხედულებების და პრიორიტეტების შესწავლის და გათვალისწინების მიზნით, რაც ადასტურებს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედეულებების და პრიოტიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. იგივე დასტურდება კათედრების წევრებთან გასაუბრებითაც. ამ ეტაპზე სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია მასწავლებლების, სკოლის დირექციის, მმართველი საბჭოს და ადმინისტრაციის ჩართულობით. მასწავლებლებმა თავიანთ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმეს საშუალო საფეხურის კურიკულუმი. გამოკვეთეს მნიშვნელოვანი თემები, გრძელავადიანი მიზნები, ძირითადი და დამატებითი ტექსტები, რესურსები. შექმნეს თემატური მატრიცები. დაგეგმეს, რამდენი კომპლექსური დავალება უნდა განეხორციელებინათ საშუალო საფეხურზე. ვინაიდან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინტერესები, ასევე მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უკუკავშირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებსა და ინტერესებს. რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები,

მათი უკუკავშირის მიღების გზები და აღნიშული უკუკავშირის სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით გამოყენების მექანიზმი. ინტერვიუს დროს სკოლის მენეჯმენტის წევრებმა და მასწავლებლებმა ისაუბრეს კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებაზე ორიენტირების მნიშვნვლენობაზე; მათ გამოთქვეს მზაობა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინებასტან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ საგნის მასწავლებლები, კათედრები და დირექცია. ასევე, წარმოდგენლია მოსწავლეებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობის მექანიზმები, სკოლის ამოქმედების შემდგომ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებას სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესთან და ამ პროცესში მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებით. სასკოლო საზოგადოება შემოქმედებითად უდგება სასკოლო კურიკულუმების შემუშავების პროცესს, ერთობლივი მუშაობის შედეგად განიხილავს კურიკულუმის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების, ასევე კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის ეტაპებს, დადგენილი წესის შესაბამისად ამტკიცებს შემუშავებულ დოკუმენტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, სკოლას ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელის ფუნქცია-მოვალეობაა დაგეგმოს სკოლის ოფიციალურ ვებგერდზე და სოციალურ ქსელში სკოლის პოზიციონირება, მოამზადოს მასალები და განათავსოს საკომუნიკაციო ველში. სკოლა გამოიყენებს მთელი რიგ მექანიზმებს (სკოლის ვებგვერდი; ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდზე; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან) კურიკულუმის გასაჯაროებისა და სასკოლო საზოგადოებისთვის გასაზიარებლად. ამავდროულად სკოლას შემუშავებული აქვს უკუკავშირის მიღების და გათვალისწინები მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები მოემსახურება როგორც ხარისხის უზრუნველყოფას, ასევე, სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- შპს აითი აკადემია სტეპის სამოქმედო გეგმა;

- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და კათედრების წევრებთან გასაუბრებითაც იკვეთება მზაობა, იმისა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, მონიტორინგის და გადამუშავების ეტაპზე ძირითადი ამოცანაა მოსწავლეზე ორიენტირებულობა, რაც გულისხმობს მოსწავლის საჭიროებების და შესაძლებლობების შეფასებას, სწავლის სტილის გათვალისწინებას, მის გააქტიურებას, სასწავლო პროცესის დაგეგმვაში ხელშეწყობას და მასწავლებლის, როგორც მიმართულების მიმცემის როლის დამკვიდრებას. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნები სათანადოდ არის წარმოდგენილი, სამიზნე ცნებების სახით. სასწავლო თემები/ქვეთემები ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს და შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ სასწავლო საკითხებს.

მაგალითად, სახელმწიფო კათედრის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმი შედგენილია ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპის საფუძველზე. სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, შერჩეულია სავალდებულო მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც საუკეთესოდ ასახავენ მათი თანადროული ეპოქების სპეციფიკას, მსოფლმხედველობასა და ესთეტიკურ შეხედულებებს. წარმოდგენილ, მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში უპირატესობა ენიჭება კომპლექსურ დავალებებს, საკითხთა მრავალფეროვნებას; მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მე-12 კლასის კურიკულუმში

კონტექსტ-მაგალითებად შეარჩიეს ისეთი მხატვრული თუ არამხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც იწვევს მაღალ ინტერესს მოსწავლეთა შორის.

მოსწავლეების ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებზე ამორგებული უცხოური ენების კურიკულუმებიც. სასწავლო თემები/ქვეთემები ითვალისწინებს ისეთ საკითხებს როგორებიცაა: პიროვნული ურთიერთობები, განათლება, თავისუფალი დრო, ხელოვნება როგორც თვითგამოხატვა, ჯანმრთელი ცხოვრების წესი, ტანსაცმელი-გარეგნობა თუ შინაგანი ბუნება, მუზეუმი, მოგზაურობა, კვება-კულინარია და სხვ. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის კათედრა, სახელმძღვანელოს გარდა, იყენებს დამატებით, მრავალფეროვან რესურსს, რომელიც აზრობრივად უკავშირდება შესასწავლ თემას. საშუალო საფეხურის, უცხოური ენების კურიკულუმებში, შუალედურ მიზნებად სკოლას ჩადებული აქვს კომპლექსური დავალების პირობები. **კომპლექსური დავალების არსი, თავდაპირველად, კურიკულუმში სწორად წარმოჩენილი არ იყო, თუმცა, ვიზიტის დროს ეს ხარვეზი გამოსწორდა.** მოსწავლეები, კომპლექსური დავალების ფარგლებში, შექმნიან სხვადასხვა ტიპის პროდუქტს, როგორიცაა სტატია, ვიდეო რგოლი, პრეზენტაცია, მეილი, ესსე და სხვა.

ასევე, მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებია ასახული სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურის 10-12 კლასის კურიკულუმებში. გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, რაც გულისხმობს როგორც საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებს და შედეგებს, ისე გამჭოლ კომპეტენციებს: პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომობა, კომუნიკაცია, ეთიკა, მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა, დროსა და სივრცეში ორიენტირება, კვლევა, სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა, პასუხისმგებლობა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, წიგნიერება.

საშალო საფეხურის კურიკულუმებში სკოლას შერჩეული აქვს ისეთი სასწავლო თემები და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული 6 ფუნქციური უნარის (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა) განვითარებას უწყობს ხელს.

მაგალითად, მეორე უცხოური ენის მეათე კლასის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეს მოეთხოვება ჯანმრთელი ცხოვრების წესთან დაკავშირებით გამოკითხვის ჩატარება და მიღებული შედეგების პრეზენტაცია. ეს დავალება დაეხმარება მოსწავლეებს ისეთი უნარების განვითარებაში, როგორიცა კრიტიკულ აზროვნება, ხასიათი/ნება, კომუნიკაცია და თანამშრომლობა.

ასევე, საინტერესო მაგალითია სახელმწიფო ენის კათედრაზე საშუალო საფეხურსითვის დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება - პრეზენტაცია, რეფერატი, ნარკვევი, მემუარი, მოხსენებითი ბარათი - რაც თავისთავად იძლევა საშუალებას, მოსწავლეს სასწავლო პროცესში განუვითარდეს გლობალურ-ფუნქციური უნარები, გამოიყენოს დასწავლის სხვადასხვა სტრატეგია; შერჩეული ტექსტები, კონტექსტ-მაგალითები უკავშირდება მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და კულტურული ცნობიერების ამაღლებას.

გარდა ამისა, საბუნებისმეტყველო მიმართულებით სკოლა გეგმავს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზებას სპეციალური კურსების, კლუბების, წრეების სახით. მთლიანობაში, სასკოლო კურიკულუმი დაგეგმილია იმ სახით, რომ მოამზადოს მაღალი ინტელექტუალური ღირებულებების მქონე, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი ადამიანები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს სკოლის მოსწავლეების კონკურენტუნარიანობას სწავლის გაგრძელების მიზნებისათვის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრები მთელი ზაფხულის განმავლობაში იმუშავებენ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნაზე, რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) განვითარებაზე კიდევ უფრო მეტად იქნება ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება რომ, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცედურა და მეთოდოლოგიური საკითხები მოიცავს ვალდებულებას, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულ იქნას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები: მნიშვნელოვანია მოსწავლის სურვილის, შესაძლებლობის და მოთხოვნილების გათვალისწინება სასწავლო მასალის შერჩევისას; მოსწავლეთა მოტივაციის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, გააძლიერებენ ინტერაქტიურ სასწავლო გარემოს. მასწავლებლები მოსწავლეებს ინდივიდუალურ, სპეციფიურ საჭიროებებზე დაყრდნობით გაუწევენ კონსულიტირებასა და მხარდაჭერას, რაც გაზრდის მოსწავლეთა აკადემიური შედეგების მიღწევის დონეს.

კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სასწავლო თემები და კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ვიზიტის დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების მიხედვით, გამოიყენებენ დიფერენცირებული მიდგომის მეთოდებს, მაგ: მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით შეარჩევენ და შეცვლიან აქტივობებს; ადაპტირების მიზნით, კომპლექსურ დავალებას გაამარტივებენ და მოარგებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სასწავლო შინაარსს გაუწევენ მოდიფიცირებას და გახდიან უფრო მრავალფეროვანს. გამოიყენებენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს.ინკლუზიური მიდგომების სასწავლო პროცესში გამოყენების საკითხი, სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით აქვს დარეგულირებული, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლის სწავლების განხორციელების მექანიზმები. სასკოლო სასწავლო გეგმის რეგულაციებიდან გამომდინარე, სკოლა, საჭიროების მიხედვით, შეადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს, გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა მიღების შედმდგომ პედაგოგები გაითვალისწინებენ მათ ინდივიდუალურს საჭიროებებს და ცვლილებებს შეიტანენ დაგეგმილ აქტივობებში, შესთავაზებენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის, საჭიროებისამებრ, შემუშავებული იქნება ინდივიდუალური გეგმები, რომელთა დახვეწას და სრულყოფა იგეგმება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილის დოკუმენტებიდან ირკვევა და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ სკოლაში იგეგმება ორი ტიპის შეფასების - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების - გამოყენება. კათედრებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ შეფასება აწარმოონ მკაფიოდ გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით, საგნობრივ სტანდარტებთან მიმართებაში, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე განმასზღვრელი რუბრიკის შექმნა საშუალო საფეხურის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შესასწავლი თემებისთვის. პედაგოგებს შექმნილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე, იგეგმება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა ყოველი კონტექსტ - მაგალითის მიმართ.

ვიზიტის დროს სკოლის პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ აქვთ ზემოთ აღწერილი პროცესის დაგეგმვისა და გააზრების შესაძლებლობა. მაგალითად, პირველ ეტაპზე, უცხოური ენების კათედრამ ატვირთა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც არ ჩანდა კრიტერიუმების თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების სამიზნე ცნებებთან კავშირი, თუმცა ვიზიტის დროს, რჩევის საფუძველზე, მასწავლებლებმა ამ პრინციპით შედგენილი განმსაზღვრელი დავალების რუბრიკები თითოეული უცხო ენისთვის (ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული) ცალკ-ცალკე წარმოადგინეს. მოცემულ რუბრიკებში გათვალისწინებულია შეფასების კრიტერიუმების მიმართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. გასაუბრების დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ვინაიდან სკოლა პირველად იწყებს ფუნქციონირებას, შეფასების რუბრიკებს მომავალში უფრო დახვეწავენ და საჭიროების მიხედვით მოარგებენ სასწავლო პროცესს. რაც შეეხება განმავითარებელი შეფასებას, თავდაპირველად, მხოლოდ რუსული ენის მაგალითზე იყო წარმოდგენილი ერთ-ერთი კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. მოცემულ რუბრიკაში კარგად არის გაწერილი კავშირები გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის. ასევე ინტეგრირებულია სოლო ტაქსონომიის შეფასების სქემა თავისი დონეებით. ვიზიტის დროს, უცხოური ენების მასწავლებლებმა ეს გამოცდილება საკუთარ საგნებში გადაიტანეს და თითოეული ენისთვის (ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული) ცალკ-ცალკე წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მასწავლებელთა უკუკავშირისა და აღწერილი მაგალითების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორის მოთხოვნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ვინაიდან, სკოლას აქამდე არ განუხორციელებია სასწავლო პროცესი და პირველად იწყებს ფუნქციონირებას, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ვერ გაითვალისწინებდა წინარე გამოცდილებას. თუმცა, სკოლას უკვე აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგია, რომელშიც მითითებულია, რომ ყოველი მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნება მთელი წლის მანძილზე შეგროვებული მონაცემები. წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმში შეიტანენ სასწავლო საკითხებსა და შუალედური მიზნებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას განხორციელდება მოსწავლეების და მშობლების მოსაზრებების გათვალისწინება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით (შესაბამისი ინტერესების კვლევა, გამოკითხვის შედეგების ანალიზი და სხვა). სასწავლო წლის დასრულებისთანავე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი უზრუნველყოფს შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. სკოლა გამოხატავს მზაობას კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების შედეგად ყოველწლიურად შემუშაოს რეკომენდაციები და მათი გათვალისწინების საფუძველზე შექმნას კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია, რომელიც მეტად პასუხობს სკოლის და სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესებს, შესაძლებლობებს და გამოწვევებს.

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის კურიკულუმები სკოლის მასწავლებლების ჩართულობით მიიღებს დასრულებულ სახეს და გათვალისწინებული იქნება მათი წინარე და წარმატებული გამოცდილების პრაქტიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- შპს აითი აკადემია სტეპის სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი.
- შპს აითი აკადემია სტეპის დებულება;
- შპს აითი აკადემია სტეპის ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისა და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმის) შემუშავების მიზნით მასწავლებლების შეხვედრის ოქმი №1;
- შპს აითი აკადემია სტეპის სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვის წესი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისას ჩანს, რომ სასკოლო კულტურა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას აქტიური სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების საშუალებით. სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობის მექანიზმები; იგრძნობა სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო.

მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობას; გასაუბრებისას, მათ ექსპერტთა ჯგუფს გაუზიარეს, თუ როგორ აპირებენ კომპლექსური დავალების განხორციელებას - მასწავლებლები სასწავლო პროცესში გაითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, დაეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას დაუკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას. კათედრებს მომდევნო სასწავლო წლისათვის გადაწყვეტილი აქვთ ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელება.

კურიკულუმებში შეტანილია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნას ავალდებულებს, როგორიცაა, მაგალითად, ვიდეო რგოლები, ბლოგები, ლიფლეტები, პოსტერები და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

გარდა ამისა, საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს, კერძოდ, შესთავაზებენ მათ სასკოლო პროექტებს, საკლუბო, საწრეო აქტივობებს და შესაბამისად, 2023 – 2024 წლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. მოსწავლეებს ექნებათ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ მოხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება.

კურიკულუმის სასწავლო თემებისა და კომპლექსური დავალების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში, შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
სკოლას სასწავლო პროცესი ჯერ არ განუხორციელებია და, შესაბამისად, არ გააჩნია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით სასწავლო პროცესის განხორციელების პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობი სასწავლო თემები და კონტექსტები, რომელიც, მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. კურიკულუმი კომპლექსური დავალების სასწავლო პროცესში გამოყენებას ითვალისწინებს. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.

წარმოდგენილი კურიკულუმები, მოცემული კომპლექსური დავალებები, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა, პროექტების დაგეგმვა და განხორციელება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ და დავასკვნათ კიდეც, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნების გარეშე ვერ განხორციელდება, რადგან კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის კონსტრუირებას და აუცილებელი ფაქტორია ამ მუშაობის პროცესში. იგივე დადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას. **მათ აღნიშნეს,** რომ სასწავლო პროცესი დაეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და წარიმართება ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაციის აქტიურად ცოდნად გარდაქმნის პროცესს.

მაგალითად, სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა გასაუბრებისას გაგვიზიარეს თავიანთი პროფესიული გამოცდილება და აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლიდან ისინი გაითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს,

დაეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას დაუკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას, მოიძიებენ შესაბამის რესურსებს; მასწავლებლებს მე-12 კლასისათვის დაგეგმილი აქვთ რამდენიმე ნაწარმოებთან მიმართებით აჩვენონ ამონარიდები ქართული მხატვრული ფილმებიდან და პარალელების სახით შეიტანონ ქართული და უცხოური ლიტერატურის ნიმუშები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

საშუალო საფეხურის კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსწავლე პასუხობს საკვანძო შეკითხვებს, რომელიც ხელს უწყობს, გააკეთოს რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში. მაგალითად: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს. ეს შეკითხვები მნიშვნელოვანია, რათა დეტალურად გაანალიზდეს თითოეული ნაბიჯი, სწავლის პროცესი, რასაც, შესაბამისად, მოჰყვება უკუკავშირი, როგორც თანაკლასელებისაგან, ისე მასწავლებლისგანაც. შესაბამისად, აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. სკოლას ამ მიმართულებით სასწავლო პრაქტიკა არ აქვს, ვინაიდან პირველად იწყებს ფუნქციონირებას, თუმცა, რადგან კათედრებს სწავლების პროცესი კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაყრდნობით აქვთ დაგეგმილი, სკოლა შეძლებს ამ კრიტერიუმის დაკმაყოფილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო საკითხები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური ბუნების დავალების პირობები უზრუნველყოფს სამივე კატეგორიის ცოდნის დამუშავებას. კურიკულუმის კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული, საგნობრივი საკითხების ფარგლებში დაგეგმილი, კომპლექსური ბუნების დავალებები ძირითადად მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორ გამოიყენებენ მოსწავლეები დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას მუშაობის პროცესში. სწავლების პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები და აქტივობები და მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, საკუთარი ცოდნით შექმნან შემოქმედებითი პროდუქტები.

მაგალითად, საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მიღებული ცოდნის ტრანსფერს ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ იკვეთება ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. საკითხები, ქვეცნება და ქვესაკითხი კი უკავშირდება სამიზნე ცნებას. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად, ვიდეორგოლი, წერილი, ბლოგი, პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კლუბები და წრეები. გარდა ამისა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმილი აქვთ საგანთა შორის ინტეგრირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- შპს აითი აკადემია სტეპის სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი.
- შპს აითი აკადემია სტეპის დებულება;
- შპს აითი აკადემია სტეპის ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისა და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმის) შემუშავების მიზნით მასწავლებლების შეხვედრის ოქმი №1;
- შპს აითი აკადემია სტეპის სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვის წესი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

- სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
- შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
- შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
- სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, რადგან წარმოდგენილია სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნები განსაზღვრული სამიზნე ცნებების სახით. რაც გულისხმობს საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებს და შედეგებს, სასწავლო საკითხების შერჩევას და დამუშავებას გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით; შესაბამისად შრჩეულია თემა, საკითხები და ქვესაკითხები, რაც საფუძველს ქმნის იმისა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოს სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

მაგალითად, საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ლაბორატორიები (სკოლაში ვიზიტისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ქიმიის ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები 2023 – 2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრისთვის უკვე მზად იქნება), სკოლას ყველა კლასის თითოეულ მოსწავლეზე გამოყოფილი აქვს ინდივიდუალური კომპიუტერი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში ისარგებლონ ინტერაქტიული (ონლაინ) ლაბორატორიებით, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების განხორციელებასა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, რაც გულისხმობს საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს და შედეგებს, სასწავლო საკითხების შერჩევას და დამუშავებას გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით.

ასევე, საშუალო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილავენ კომპლექსური

დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, გათვალისიწინებულია მოსწავლის მიერ კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტის" შექმნა, რომელიც შეფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
გასაუბრების შედეგად მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ზრუნვა. შერჩეული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი აქტივობები და პროექტები მეტწილად მოსწავლის პიროვნულ განვითარებას მიემართება, რაც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას, მეტად გამოხატონ თავიანთი გრძნობები, ემოციები, მართონ საკუთარი თავი, შეეძლონ საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა და თვითშეფასება, ადაპტირება იმ გარემოსთან, სადაც უწევთ მოქმედება და ურთიერთობა თანატოლებთან. სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ენიჭება მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას".

ნათელი მაგალითისთვის, საშუალო საფეხურის, უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგალითად: ოჯახი, სკოლა და განათლება, მეგობრები, ქალაქის ცხოვრება, ბუნება და ეკოლოგია, თავისუფალი დრო, დღესასწაულები, მოგზაურობა, ჯანმრთელი კვება, ტექნოლოგიები და სხვა). ასეთ თემებზე მუშაობა, მნიშვნელოვანია მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის. კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც კურიკულუმებშია ჩადებული, ხელს შეუწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ, სხვადასხვა დავალების შესრულების გზით, გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. გათვალისწინებულია მოსწავლის მრავალმხრივი შეფასება, მისი როგორც აკადემიური, ისე პიროვნული განვითარების მხარდაჭერისთვის. ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მნიშვნელობას. როდესაც სკოლა ფუნქციონირებას დაიწყებს, შეფასება გახდება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი. მასწავლებლები გამოიყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას;

პირველ ეტაპზე, უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაზუსტდა ვიზიტის დროს. მოცემულ რუბრიკებში გათვალისწინებულია შეფასების კრიტერიუმების მიმართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან, ინტეგრირებულია სოლო ტაქსონომიის შეფასების სქემა თავისი დონეებით, რაც,

სკოლის მიერ დაგეგმილ შეფასების მიზნებთან ერთობლიობაში, უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებას უცხო ენების სწავლების პროცესში. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, შექმნილი აქვთ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. 20203 – 2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს საშუალო საფეხურის სტანდარტით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო თემასთან მიმართებით, დაიხვეწენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს კომპლექსურ დავალებებთან მიმართებით, ხოლო სასწავლო პროცესის დაწყების შემდგომ აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, მოახდენენ დიაგნოსტიკური წერის ანალიზს.

გარდა ამისა, სასწავლო წლისთვის დაწყებამდე იგეგმება ახალი გამოწვევის შესაბამისად ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა, სადაც მოსწავლეები საკუთარ ცოდნაზე იფიქრებენ, თავად იქნებიან საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორები, მასწავლებელს კი ამ პროცესში ფასილიტატორის როლი ექნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

წარმოდგენილ მასალებიდან და გასაუბრებისას დასტურდება, რომ სკოლაში შეფასება სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას და წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს, მისი თანამდევი პროცესია და მისი მთავარი დანიშნულებაა, ერთი მხრივ, სწავლების ეფექტიანი გაუმჯობესება და, მეორე მხრივ, სწავლა / სწავლების შედეგების შემოწმება-შეფასება.

ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას დააფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში. შეფასების ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს კათედრების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის პროექტი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს განახორციელოს მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამ მიზნით, დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიქმნება

ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში, ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობით, შეადგენს ვერიფიკაციის გეგმას. ვერიფიკაციის პროცესში, ჯგუფი დაადგენს შეფასების შესაბამისობას ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, **კათედრის წევრებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა გამოთქვამას მზაობას შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, შეფასების მტკიცებულებების მოპოვება, გადაბარება, შენახვა და სათანადო აღიცხვა უზრუნველყოს კანონმდებლობის და დადგენილი წესის შესაბამისად,** არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

წარმოდგენილი მასალების, კურიკულუმების და მათი შემუშავების მეთოდოლოგიის გაცნობით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მხარდამჭერი და მიმღებლობითი სასწავლო გარემოს შექმნას. მასწავლებლები მოსწავლეებს ინდივიდუალურ, სპეციფიურ საჭიროებებზე დაყრდნობით გაუწევენ კონსულიტირებასა და მხარდაჭერას. სკოლაში გეგმავს კეთილგანწყობილი, საქმიანი და მოწესრიგებული სივრცის შექმნას, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, მოსწავლე იქნება დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, სკოლა პასუხისმგებლობას იღებს მოსწავლეები უზრუნველყოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით-ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.

სკოლა მოსწავლეებს ასევე შესთავაზებს მრავალფეროვან საკლუბო, საწრეო, სპორტულ აქტივობებს, პროექტულ სწავლებასა და საკონსულტაციო დროს, როგორც დამატებით სერვისს. გარდა ამისა, დამატებითი სავალდებულო მომსახურების ფარგლებში, მოსწავლეებს ჩაუტარდებათ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიები და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
წარმოდგენილი მასალების ანალიზით, კურიკულუმებისა და კურიკულუმებისა და კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის შესწავლით, ასევე კათედრების წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და განხორციელდება მოსწავლეების საჭიროებების, შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინებით. სკოლა გამოხატავს მზაობას, შექმნას ისეთი უსაფრთხო გარემოს რომელიც აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, იზრუნებს მათ განვითარებაზე. ამ მიზნით, სკოლა გეგმავს მოაწყოს თანამედროვე საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, სპორტული და დასვენების სივრცეები და სხვა.

გასაუბრების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული იქნებიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, ხელს შეუწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების გამოვლენასა და განვითარებას, დაეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
სკოლა მიმდინარე ეტაპზე არ ფუნქციონირებს, თუმცა სასწავლო პროცესში თანამშრომლობითი გარემოს უზრუნველყოფისთვის სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისი მექანიზმები სასკოლო სასწავლო გეგმასა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. ასევე სკოლის დებულებასა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვით და გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის შექმნილია შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო, სადაც პედაგოგები გაუზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას,

განაალიზებენ გამოცდილებას, დაადგენენ საჭიროებებს, ისაუბრობენ წარმოქმნილ პრობლემებზე, ერთობლივად ეძიებენ პრობლემის გადაჭრის გზებს, ერთობლივად შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, გაეცნობიან სიახლეებს, ისაუბრებენ წარმატებული პრაქტიკის შესახებ და დანერგავენ თავიანთ პედაგოგიურ საქმიანობის პროცესში. პედაგოგები გამოხატავენ მზაობას სასწავლო პროცესი ამ მიდგომით წარიმართოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
სკოლის ინფრასტრუქტურა, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი რეგულაციები, შინაგანაწესი და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს სკოლაში პოზიტიური ატმოსფეროს შექმნას. საგნობრივი კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე მასწავლებლებთან გასაუბრების დროს იკვეთება, რომ სკოლა გამოიყენებს კონსტრუქტივისტულ მიდგომებს, რომელიც დაეხმარება მას უზრუნველყოს პოზიტიური გარემო საკლასო დონეზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში არსებული სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დადგენილი წესები, მიდგომები, ღირებულებები, სწავლების თანამედროვე მეთოდების და სტატეგიების გამოყენება უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე.

სასკოლო სასწავლო გეგმაში სასწავლო გარემოში პოზიტიურ დამოკიდებულებებზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული. ამავდროულად სკოლაში დამრიგებლის და დამრიგებლის ასისტენტის პოზიციაა გათვალისწინებული, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა პოზიტიური კლიმატის შექმნა. სასკოლო კლიმატთან დაკავშირებული საკითხების განხილვა იგეგმება მასწავლებლებთან გაერთიანებულ შეხვედრებზე, რის მიხედვითაც გათვალისწინებული და გამოყენებული იქნება პედაგოგთა გამოცდილება და მოსაზრებები სკოლაში კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით. პროცესის წარმართვისთვის სკოლას აქვს ხედვა და მზაობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- შპს აითი აკადემია სტეპის დებულება;
- შპს აითი აკადემია სტეპის შინაგანაწესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სკოლას აქვს შემუშავებული ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგია, სადაც „სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასების“ ნაწილში ასახულია, თუ როგორ და რა აქტივობებით და საშუალებებით განხორციელდება სკოლის და საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დაწესებულებას ეს პროცესი წარმოდგენილი აქვს კათედრების წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობით. მონიტორინგი და შეფასება წარიმართება რამდენიმე მსხვილი მიმართულებით, როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარებით, სადაც იქნება შესაძლებლობა პედაგოგიური პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით, სადაც იქნება საშუალება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების განვითარების და გაძლიერების. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი

დოკუმენტაციით, ასევე პედაგოგებთან ინტერვიუთი იკვეთება, რომ სკოლას აქვს მზაობა სამომავლოდ დანერგოს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმი და განხორციელებული აქტივობების ანალიზი. შესაბამისად 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
სკოლის დოკუმენტაციაში აღწერილია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვის და ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ძირითად საკითხები, რითაც დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტის შესაბამისად და მონიტორინგის და შეფასების მიზანია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. სკოლა გამოხატავს მზაობას ამ პროცესებმა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების წევრების (სკოლის პერსონალი, მოსწავლე, მშობელი) სწორ ორიენტირებას სასკოლო გარემოში. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება; ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.
სკოლა ამ ეტაპისთვის არ ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას, შესაბამისად არ აქვს ინდიკატორით განსაზღვრული პრაქტიკა, თუმცა პროცესი, რომ მონიტორინგმა და შეფასებამ უნდა განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებები არის სკოლის მხრიდან გააზრებული; დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები.

კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, მითითებულია, რომ მონიტორინგი კურიკულუმის განხორციელების დროს წარმოშობილი პრობლემების იდენტიფიცირებას ისახავს მიზნად. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები. ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევა წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება (ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად); სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთილი მიღწევები და პრობლემები გაანალიზდება და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- შპს აითი აკადემია სტეპის დებულება;
- შპს აითი აკადემია სტეპის შინაგანაწესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის კათედრების დებულება;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
დოკუმენტაციის შესწავლითა და გასაუბრებით დგინდება, რომ შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, მასწავლებლის პორტფოლიოს, დიაგნოსტიკურ წერებს, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების შედეგებს, შემაჯამებელი წერების შედეგებს, საკლასო და საშინაო დავალების შესრულების მონიტორინგს, პროექტებში მონაწილეობას, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს, რათა შეფასების

სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლა მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტს ანიჭებს კომპლექსურ, ცხოვრებისეული კონტექსტების მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები ასევე უზრუნველყოფენ კონსტრუქტივისტულ პრინციპების, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის შეძენის, გამჭოლი უნარების, ღირებულებების და გლობალური ფუნქციური უნარების გათვალისწინებას.

სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლას გათვალისწინებული აქვს დამატებითი არაფორმალური საგანმანათლებლო მომსახურება, სხვადასხვა საგნობრივი წრეების სახით. სკოლის დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლე შეფასდება მრავალი კონტექსტის საფუძველზე, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე საწრეო, საკლუბო და კომპლექსურ, ცხოვრებისეული შინაარსის მქონე დავალებებზე მუშაობის დროს.

შეფასების განხორციელება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება გამახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
წარმოდგენილი მასალებით და გასაუბრებით დგინდება, რომ შეფასება წარიმართება საგაკვეთილო პროცესის, განხორციელებული პროექტების, სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის გათვალისწინებით. შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: მოსწავლეთა დაკვირვებას, მოსწავლის შეფასებების შედეგების ანალიზს, კითხვებს, ქვიზებს, გამოკითხვას, თვითშეფასებას, ტესტებს და სხვ. აღსანიშნავია, რომ სკოლას ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა საშუალებას მისცემს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომის უზრუნველყოფას და თითოეული მეთოდის სუსტი მხარეების დაბალანსებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასება განხორციელდება საშინაო დავალების, საკლასო დავალების, კომპლექსური დავალების, პროექტებზე მუშაობის, შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების, პრეზენტაციის უნარის, ამოცანების ამოხსნის ალგორითმის საფუძველზე. იგეგმება მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. კათედრებთან გასაუბრებით დგინდება, რომ შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ამ მიზნით, სკოლა გეგმავს ხელი შეუწყოს მოსწავლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, პროექტებსა და სხვა ღონისძიებებში. უკუკავშირები გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. შეფასებისას ასევე გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- შპს აითი აკადემია სტეპის შინაგანაწესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის კათედრების დებულება;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში აღიწერილია ინფორმაციის შეგროვების წყაროები, კონტექსტები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები, შესაბამისი ვადები, პასუხისმგებელი პირები და დოკუმენტები, რომლებიც უნდა შემუშავდეს. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების შედეგად ყოველწლიურად დამუშავდება რეკომენდაციები და მათი გათვალისწინების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის გაუმჯობესებელი ვერსია, რომელიც მეტად პასუხობს სკოლის და სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესებს, შესაძლებლობებს და გამოწვევებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.
სკოლა გამოხატავს მზაობას, გადამუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულ იქნეს მიღებული გამოცდილება, მონიტორინგის და შეფასების შედეგები, კურიკულუმის რევიზიის შედეგად მიღებული მონაცემები. აღნიშნული მექანიზმები გაწერილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიაში, სკოლის სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტსა და სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს აითი აკადემია სტეპის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 სასწავლო წელი);
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- შპს აითი აკადემია სტეპის შინაგანაწესი;
- შპს აითი აკადემია სტეპის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები და ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე: ქეთევან ბაცანკალაშვილი

წევრები:

ლელა ფიცხელაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ჯგუფის წევრი

თეა მათითაიშვილი- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

მზია მახაჭაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ზურაბ ურიადმყოფელი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

მზია შევარდნაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

27. 09. 2023
თბილისი